

თიბისი ბანკის ჯგუფი

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
ნაერთი ფინანსური უწყისები და აუდიტორთა ანგარიში

2010 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება	
ნაერთი ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	1
სწული ნაერთი სამშრომლო ანგარიში	2
კაპიტალში ცვლილებების ნაერთი ანგარიში	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიში	5

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1	შესავალი	
2	მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შეჯამება	6
3	კრიტიკული საბუღალტრო ვარაუდისა და საბუღალტრო პოლიტიკის მისადაგების გამართლება	16
4	ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციის მიღება	17
5	ახალი საბუღალტრო ნოვაციები	19
6	ფული და ფულის ექვივალენტი	22
7	მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	23
8	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	23
9	გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29
10	დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29
11	სხვა ფინანსური აქტივები	30
12	ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში	31
13	სხვა აქტივები	32
14	ობიექტები, აპარატურა და არამატერიალური აქტივები	33
15	საინვესტიციო ქონება	34
16	პრესტიჟი	Error! Bookmark not defined.
17	სარეალიზაციოდ ფლობილი გასასხვისებელი აქტივების ჯგუფი	35
18	ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	Error! Bookmark not defined.
19	კლიენტების ანგარიშები	37
20	ვალდებულებებისა და გადასახდელების რეზერვი, საკრედიტო ვალდებულებები	38
21	სხვა ფინანსური ვალდებულებები	38
22	სხვა ვალდებულებები	38
23	სხვა მოზიდული სახსრები	38
24	სუბორდინირებული სესხი	39
25	სააქციო კაპიტალი	40
26	აქციებზე დაფუძნებული გადასახდელები	41
27	სხვა რეზერვები	41
28	საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები	42
29	საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	42
30	სხვა საოპერაციო შემოსავლები	42
31	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	43
32	საშემოსავლო გადასახადები	43
33	ფინანსური რისკის მართვა	45
34	კაპიტალის მართვა	54
35	სავარაუდო ხარჯები და ვალდებულებები	55
36	დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები	56
37	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	56
38	ფინანსური ინსტრუმენტების კლასების გაერთიანება საზომ კატეგორიებთან	58
39	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	59

სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

1. ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკის ჯგუფის და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციების თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს აგრეთვე 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ასხნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს რომ ჩვენი სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.
4. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაბამისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.
5. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

6. ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხელმოწერილია/
2011 წლის 21 აპრილი
საქართველო, თბილისი

აუდიტორული კომპანიის „პრის ვიტერჰაუზ კუპერსის“ ცენტრალური აზიისა და კავკასიის წარმომადგენლობის საქართველოს ფილიალი

მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, ბაშის რიგის ქ. N7, „მანთაშვიის“ ბიზნეს ცენტრის შენობა
ტელ: 995-32-508050, ფაქსი: 995-32-508060, ინტერნეტი: www.pwc.com/ge

თიბისი ბანკის ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის წერილი ანგარიშში

ათასობით ლარში	შენიშვნა	31-12-2010	31-12-2009
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	6	275,425	332,848
მოთხოვნები ბანკების მიმართ	7	74,736	37,249
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8	1,380,955	988,428
გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	216,323	3,619
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის აქტივი		2,500	2,193
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	28,986	115,496
სხვა ფინანსური აქტივები	11	4,239	7,009
ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში	12	9,681	14,090
სხვა აქტივები	13	94,828	71,876
ობიექტები და აპარატურა	14	144,429	148,291
არამატერიალური აქტივები	14	3,560	5,178
საინვესტიციო ქონება	15	27,742	9,785
პრესტიჟი	16	1,262	1,958
სარეალიზაციოდ ფლობილი სტატუსით კლასიფიცირებული გასახვისელებელი აქტივების ჯგუფის	17	3,115	-
სულ აქტივები		2,267,781	1,738,020
ვალდებულებები			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	18	47,762	27,366
კლიენტების ანგარიშები	19	1,365,352	991,172
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	32	7,294	1,369
ვალდებულებების და გადასახდელების რეზერვი	20	6,881	5,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	21	3,932	5,725
სხვა ვალდებულებები	22	19,681	6,602
სხვა ნასესხები თანხები	23	280,906	223,401
დაქვემდებარებული სესხი	24	158,401	150,353
სარეალიზაციოდ ფლობილი გასახვისელებელი ჯგუფის ვალდებულებები	17	300	-
სულ ვალდებულებები		1,890,509	1,411,277
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	25	15,113	15,000
აქციების პრემია	25	201,723	201,723
გაუნაწილებელი მოგება		123,423	71,920
სხვა რეზერვები	27	31,813	32,806
წმინდა აქტივები ბანკის კაპიტალის მფლობელებზე არასაკონტროლო ინტერესი		372,072	321,449
		5,200	5,294
სულ კაპიტალი		377,272	326,743
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,267,781	1,738,020

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2011 წლის 21 აპრილს.

ვახტანგ ბუცხრიკიძე
 მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი

ფიორგი შალიძე
 მთავარი ფინანსური ოფიცერი

თიბისი ბანკის ჯგუფი
ყოველისმომცველი შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

<i>ათასობით ლარში</i>	შენიშვნა	2010	2009
საპროცენტო შემოსავალი	28	271,805	264,934
საპროცენტო ხარჯები	28	(108,991)	(102,692)
წმინდა საპროცენტო შემოსავლები		162,814	162,242
სესხის გაუფასურების რეზერვი	8	(31,320)	(94,055)
წმინდა საპროცენტო შემოსავლები სესხის გაუფასურების დარეზერვების შემდეგ		131,494	68,187
საკომისიო შემოსავლები	29	29,832	25,979
საკომისიო ხარჯები	29	(11,060)	(9,027)
სარგებელს გამოკლებული ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან		22,842	17,733
სავალუტო ოპერაციები (ზარალს გამოკლებული სარგებელი)/სარგებელს გამოკლებული ზარალი		(964)	334
ზარალი აქტივების საწყის აღიარებაზე საბაზროზე ნაკლები განაკვეთით		-	(3,365)
საინვესტიციო სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურება	9	-	(257)
სარგებელი საინვესტიციო სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდებიდან	9	-	7,920
ვალდებულებების, გადასახდებელი და კრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებების ამოღება (დარეზერვება)	20	(3,092)	35
საფინანსო იჯარაში ინვესტიციების გაუფასურების ამოღება (დარეზერვება)	12	(900)	445
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	11	(713)	(179)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	30	8,595	9,472
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	31	(116,396)	(111,569)
მოგება გადასახადების გადახდამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		59,638	5,708
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	32	(6,922)	(981)
წლის მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		52,716	4,727
შეწყვეტილი ოპერაციები			
წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	17	(3,281)	(1,767)
წლის მოგება		49,435	2,960
სხვა ყოველისმომცველი შემოსავლები:			
სარეალიზაციო ინვესტიციები:			
- გადაფასება	9	(286)	1,072
- ხელახალი კლასიფიკაციით გამოწვეული კორექტირებები სარგებელზე, ზარალის გამოკლებით, ტარდება მოგების ან ზარალის ნაწილში	9	-	(788)
გაცვლითი კურსის სხვაობა საპრეზენტაციო ვალუტაში გადაყვანისას		1,062	(224)
უშუალოდ სხვა ყოველისმომცველ შემოსავლებში გატარებული საშემოსავლო გადასახადი		41	(41)
წლის სხვა ყოველისმომცველი შემოსავლები		817	19
სულ წლის ყოველისმომცველი შემოსავლები		50,252	2,979
მოგება შემდეგისადმი:			
- ბანკის მფლობელები		49,374	2,831
- არასაკონტროლო ინტერესი		61	129
წლის მოგება		49,435	2,960
სულ ყოველისმომცველი შემოსავლები შემდეგისადმი:			
- ბანკის მფლობელები		50,191	2,850
- არასაკონტროლო ინტერესი		61	129
სულ წლის ყოველისმომცველი შემოსავლები		50,252	2,979

თიბისი ბანკის ჯგუფი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი

ათასობით ლარში	შენიშვნა	მიეკუთვნება ბანკის კაპიტალის მფლობელებს				არასაკონტროლო		სულ კაპიტალი
		სააქციო კაპიტალი	პრემია	სხვა რეზერვები (27-ე შენიშვნა)	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი	ლო ინტერესი	
ნაშთი 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით								
		11,700	138,748	32,787	69,089	252,324	5,165	257,489
სულ 2009 წლის ყოვლისმომცველი შემოსავლები								
		-	-	19	2,831	2,850	129	2,979
აქციების გამოშვება								
	26	3,300	62,700	-	-	66,000	-	66,000
აქციებზე საფიუტერულ განხორციელებული გადახდები								
	27	-	275	-	-	275	-	275
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით								
		15,000	201,723	32,806	71,920	321,449	5,294	326,743
სულ 2010 წლის ყოვლისმომცველი შემოსავლები								
		-	-	817	49,374	50,191	61	50,252
აქციების გამოშვება								
	26	113	-	-	-	113	-	113
ობიექტების გადაფასების პროფიტის მიკუთვნება								
		-	-	(1,810)	2,129	319	-	319
დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში არასაკონტროლო ინტერესის გასხვისება								
		-	-	-	-	-	(155)	(155)
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით								
		15,113	201,723	31,813	123,423	372,072	5,200	377,272

თიბისი ბანკის ჯგუფი
ფინანსური ნაკადების კონსოლიდირებული უწყისი

ათასობით ლარში	შენიშვნა	2010	2009
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
საპროცენტო შემოსავალი	28	243,707	280,588
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	28	(108,275)	(98,761)
მიღებული საკომისიო	29	30,377	26,211
გადახდილი საკომისიო	29	(11,605)	(9,027)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე		21,839	17,735
სხვა საოპერაციო შემოსავალი	30	7,745	5,724
გადახდილი საკადრო ხარჯები	31	(48,768)	(48,870)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	31	(36,405)	(46,365)
საშემოსავლო გადასახადი (გადახდილი)/ ანაზღაურებული		(1,348)	462
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფინანსური ნაკადები სანამ ცვლილებები განხორციელდება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებზე		97,267	127,697
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა ბანკებიდან მისაღებ თანხებში	7	(36,752)	10,597
წმინდა კლება/(ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში და ავანსებში	8	(443,889)	195,631
წმინდა კლება/(ზრდა) ფინანსურ იჯარაში გაკეთებულ ინვესტიციებში	12	4,409	9,676
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა ფინანსურ აქტივებში	11	2,770	(5,354)
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში	13	(6,205)	(66,077)
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა ბანკებიდან მისაღებ თანხებში	18	20,304	3,418
წმინდა ზრდა კლიენტების ანგარიშებში	19	373,562	140,616
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა ვალდებულებებში	22	653	3,021
წმინდა ფინანსური ნაკადები/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		12,119	419,225
ფინანსური ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სარეალიზაციოდ განსაზღვრული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	9	(483,844)	(198)
შემოსავლები სარეალიზაციოდ განსაზღვრული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან	9	-	8,672
შემოსავლები სარეალიზაციოდ განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოხსნიდან ვადიანობის დადგომისას	9	390,368	-
ასოცირებული ორგანოს გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები		-	1,773
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	10	(27,921)	(215,196)
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოხსნიდან მიღებული შემოსავლები	10	-	120,906
ობიექტების, აპარატურის და არამატერიალური აქტივების შეძენა	14	(13,931)	(10,419)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფული		(135,328)	(94,462)
ფინანსური ნაკადები დაფინანსებიდან			
შემოსავლები სხვა ნასესხები თანხებიდან	23	57,505	12,671
სხვა ნასესხები თანხების გამოსყიდვა	23	-	(497,713)
დაქვემდებარებული ვალის შემოსავლები	24	8,048	70,774
სტანდარტული აქციების გამოშვება	25	113	66,275
ამოცანების დაფინანსებიდან მიღებული ან დაფინანსებაში გამოყენებული წმინდა ფული		65,666	(347,993)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და მის ექვივალენტზე		120	332
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და მის ექვივალენტებში ფული და მისი ექვივალენტი წლის დასაწყისში		(57,423)	(22,898)
ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		332,848	355,746
ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		6	275,425
ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		275,425	332,848

1 შესავალი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ბანკისა (შემდეგში „ბანკი“) და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის (შემდეგში ერთობლივად „ჯგუფი“ ან „თიბისი ბანკის ჯგუფი“).

ბანკი დაფუძნდა საქართველოში 1992 წლის 17 დეკემბერს. ბანკი სააქციო საზოგადოებაა, რომელიც შეზღუდულია აქციებით და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2009 წელს ჯგუფმა ახალი აქციები გამოუშვა და შედეგად – 2009 წლის 31 დეკემბრის და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქციათა ფლობის ინტერესების სააქციო სტრუქტურა შემდეგნაირია:

აქციონერები	31-12-2010 ფლობა, ინტერესი,%	31-12-2009 ფლობა, ინტერესი,%
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	20%	20%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	20%	20%
თიბისი ჰოლდინგი შპს	21%	-
გერმანიის საინვესტიციო და საკრედიტო კავშირი	11%	12%
შპს საერთაშორისო ლიკვიდური კრისტალი	7%	-
ფიზიკური პირები	8%	35%
ჯეი-პი მორგან ჩეიზ ბანკი	5%	5%
ემშორ კეიმენი	5%	5%
ნიდერლანდების საფინანსო კორპორაცია	3%	3%
ჯამი	100%	100%

ძირითადი საქმიანობა. ბანკის ძირითადი საქმიანობაა კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციების წარმოება საქართველოში. ბანკს გააჩნია საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ 1993 წლის 20 იანვარს გაცემული ზოგადი საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

ბანკს საქართველოში გააჩნია 13 ფილიალი (2009: 13) , 32 მომსახურების ცენტრი (2009: 30). 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰყავდა 2291 თანამშრომელი (2009: 2293).

ბანკი არის საქართველოსა და აზერბაიჯანში დაფუძნებული კომპანიების ჯგუფის (შემდეგში „ჯგუფი“) დამაარსებელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა გულისხმობს საბანკო, სალიზინგო, საბროკერო, ბარათების დამზადების მომსახურებას და ემსახურება როგორც ორგანიზაციებს ასევე ფიზიკურ პირებს. ჯგუფში შემავალი კომპანიების ჩამონათვალი წარმოდგენილია შენიშვნაში 2. ბანკი არის ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ორგანო და მასზე მოდის ჯგუფის საქმიანობის უმეტესობა.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ბანკის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. N7.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ნაერთი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტულად არის მითითებული სხვა ვალუტა.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად ისტორიული ხარჯების დათქმით, რადგან მოხდა მათი მოდიფიცირება შემდეგის გადაფასებით: ობიექტები, გასაყიდად გამოტანილი ფინანსური აქტივები, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე და გამოვლენადი შეძენილი აქტივები და ბიზნესის კომბინაციაში ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც შესყიდვის თარიღისთვის იზომება სამართლიანი ღირებულებით და ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც კატეგორია სამართლიანი ღირებულებით ენიჭება მოგების ან ზარალის საშუალებით. წინამდებარე ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა ქვემოთ არის გაწერილი. ხსენებული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ადგილებისა, სადაც სხვაგვარად არის მითითებული (იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ნაერთი ფინანსური ანგარიშგება. დაქვემდებარებულ კომპანიებზე მიიჩნევა ჯგუფის კომპანიები და სხვა ორგანოები, რომლებშიც ჯგუფი პირდაპირ ან ირიბად ფლობს ერთ ნახევერზე მეტ ხმის უფლებას ინტერესის სახით ან სხვაგვარად შესწევს ძალა იმგვარად განკარგოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რომ სარგებელი მიიღოს. ამჟამად გამოყენებული ან კონვერტირებული პოტენციული ხმის უფლების არსებობა და ეფექტი გათვალისწინებულია როდესაც ფასდება რამდენად აკონტროლებს ჯგუფი სხვა იურიდიულ პირს. დაქვემდებარებული ორგანიზაციები კონსოლიდირებულია მათზე კონტროლის ჯგუფის ხელში გადასვლის დღიდან (შემენის თარიღი), ხოლო ამოღებულია კონსოლიდირებული უწყისებიდან იმ მომენტიდან, როდესაც ჯგუფს მათზე კონტროლი შეუწყდა.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის შემდეგ ძირითად დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს:

დაქვემდებარებული ორგანიზაცია	31-12-2010 ფლობა/ ხმის უფლება %	31-12-2009 ფლობა/ ხმის უფლება, %	ქვეყანა	დაფუძნების ან შემენის თარიღი	დარგი
სს თიბისი ლიზინგი	89.53%	89.53%	საქართველო	2003	ლიზინგი
თიბისი კრედიტი შპს	75.00%	75.00%	აზერბაიჯანი	2008	არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება
თიბისი ბროკერი შპს	100.00%	100.00%	საქართველო	1999	საბროკერო
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	93.32%	93.32%	საქართველო	1997	ბარათების დამუშავება
სს უმრავი ქონების მართვის ფონდი	100%	-	საქართველო	2010	უმრავი ქონების მართვა
საბანკო სისტემის მომსახურების კომპანია შპს	100.00%	100.00%	საქართველო	2009	მომსახურება

საბუღალტრო შესყიდვის მეთოდი გამოყენებულია დაქვემდებარებული ორგანიზაციების შემენის ოპერაციის გასატარებლად. შესყიდვის ხარჯები იზომება დათმობილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული კაპიტალის ინსტრუმენტებით და ნაკისრი ან ნაგულისხმევი ვალდებულებებით გაცვლის მომენტისთვის, პლიუს უშუალოდ შემენასთან დაკავშირებული ხარჯები. გაცვლის თარიღი არის შემენის თარიღი, როდესაც ბიზნესის გაერთიანება მიიღწევა ერთი ოპერაციის სახით და ასევე ის თარიღია, როდესაც თითოეული აქცია იქნა შეძენილი ბიზნესის გაერთიანების აქციების ეტაპობრივი და პროგრესული შემენის შემთხვევაში.

შესაძენი ობიექტის წმინდა აქციების სამართლიან ღირებულებაში შემსყიდველის წილის ზემოთ შემენის ხარჯები ყოველ გაცვლით ოპერაციაზე ტარდება პრესტიჟად. ხარჯების ზემოთ გამოვლენილი აქტივების, ვალდებულებების და სავარაუდო ვალდებულებების წმინდა სამართლიან ღირებულებაში შემსყიდველის ჭარბი ინტერესი (ნეგატიური პრესტიჟი) იმავდროულად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ბიზნესის კომბინაციაში ნაგულისხმევი, გამოვლენილი და შეძენილი აქტივები, ვალდებულებები და სავარაუდო ვალდებულებები იზომება მათი შემენის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით – არასაკონტროლო ინტერესის მოცულობის მიუხედავად. არსებობის შემთხვევაში, გაცვლის მომენტისთვის და შემენის თარიღზე წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებებს შორის სხვაობა უშუალოდ კაპიტალში აისახება.

ჯგუფს გააჩნია ხმის უფლების 50 პროცენტზე მეტს შპს გაერთიანებულ ფინანსურ კომპანიაში, თუმცა ხსენებული ორგანიზაციაში ინვესტიცია და საქმიანობა ერთობ უმნიშვნელოა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებაში, რის გამოც ეს დაქვემდებარებული ორგანიზაცია არ შესულა ნაერთ ანგარიშგებაში.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

კომპანიებს შორის ოპერაციები, საბალანსო უწყისები და ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის ოპერაციებზე არარეალიზებული მოგება გამოირიცხება; არარეალიზებული ზარალიც გამოირიცხება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარკების ამოღება ვერ ხდება. ბანკი და ყველა მისი დაქვემდებარებული ორგანიზაცია იყენებენ ერთგვარ საბუღალტრო პოლიტიკას, რომელიც შესაბამეა ჯგუფის პოლიტიკას.

არა-საკონტროლო ინტერესი არის წმინდა შედეგების და დაქვემდებარებულის ინტერესებთან დაკავშირებული წმინდა აქტივების ის ნაწილი, რომელიც არ არის ბანკის პირდაპირ ან ირიბ ფლობაში. არა-საკონტროლებელი ინტერესი ქმნის ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ასოცირებული პირები. ასოცირებული არიან პირები, რომლებზეც ბანკს მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია (პირდაპირ ან ირიბად), თუმცა არა კონტროლი. ზოგადად ამას თან ახლავს წილობრივი კონაწილეობა კაპიტალში 20-50% ხმის უფლებით. ინვესტიციები ასოცირებულ პირებში საბუღალტრო გატარებებში ხდება კაპიტალის მეთოდით და საწყის ეტაპზე აღიარებული ზარკის სახით. ასოცირებული პირების საბალანსო ღირებულება მოიცავს პრესტიჟს, რომელიც გამოვლინდება შექმნისას. თუმცა, მას აკლდება ნაგროვი ზარალის დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფის წილი ასოცირებული პირის შექმნის შემდგომ მოგებაში ან ზარალში ასახება ნაერთი შემოსავლების უწყისში. მისი წილი შექმნის შემდგომ პერიოდში რესურსების მოძრაობაში აღიარებულია რეზერვებში. როდესაც ჯგუფის ზარალის წილი ასოცირებულ პირში ტოლია ან აღემატება მის ინტერესს იმავე ასოცირებულ პირში, მათ შორის ნებისმიერი სხვა არაგარანტირებული დაბიტორული მოვალეობა, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ ზარალს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულებები ან გადახდები აქვს განხორციელებული ასოცირებული პირის ნაცვლად.

ჯგუფსა და მის ასოცირებულ პირებს შორის ოპერაციებზე არარეალიზებული სარგებელი გამოირიცხება ასოცირებულ პირებში ჯგუფის ინტერესის მიმართ. არარეალიზებული ზარალიც გამოირიცხება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოპერაცია ნამდვილად ადასტურებს გასხვისებული აქტივის დაზიანებას.

დაქვემდებარებული და ასოცირებული ორგანიზაციების, ასევე ერთობლივი საწარმოების გასხვისება. როდესაც ჯგუფი წყვეტს კონტროლს ან მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას, ხდება სხვა ორგანიზაციაში ნებისმიერი ფლობილი ინტერესის სამართლიანი ღირებულების ხელახალი გაზომვა. საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება ასოცირებულ ორგანიზაციაში, ერთობლივ საწარმოში ან ფინანსურ აქტივში არსებული ინტერესის შესაბამისი საბუღალტრო აღრიცხვის მიზნებისთვის. ამასთანავე, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე აღიარებული იყო პირის სხვა ყოვლისმომცველ შემოსავლებში თითქოს ჯგუფს უშუალოდ ჰქონდეს გასხვისებული შესაბამისი აქტივი ან პასივი. ეს შეიძლება გულისხმობდეს თანხებს, რომლებიც ადრე აღიარებული იყო სხვა ყოვლისმომცველ შემოსავლებში და გადახარისხდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ასოცირებულ პირში ფლობის ინტერესი შემცირებულია, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა შენარჩუნებულია, სხვა ყოვლისმომცველ შემოსავლებში ადრე აღიარებული თანხის მხოლოდ პროპორციული წილის ხელახალი კლასიფიცირება ხდება შესაბამისად მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - სკვანძო საზომი ტერმინები. კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები სრულდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ხარისხით ქვემოთ აღწერილის შესაბამისად.

სამართლიანი ღირებულება თანხა, რომლისთვისაც აქტივი შეიძლება გაიყვას ან ვალდებულება დაკმაყოფილდეს მცოდნე და მოსურნე მხარეებს შორის ნორმალური საბაზრო ფასად. სამართლიანი ღირებულებაა ფინანსურ აქტივებში ამჟამად შეთავაზებული ფასი და ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნის ფასი, რისი კვოტირებაც ხდება აქტიურ ბაზარზე. ბაზრის რისკის კომპენსაციით აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ჯგუფმა შეიძლება საფუძვლად გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი საკომპენსაციო რისკის პოზიციების სამართლიანი ღირებულების დასადგენად და შესაბამისობისამებრ - წმინდა ღია პოზიციისადმი შეთავაზებული ან მოთხოვნილი ფასის გამოსაყენებლად. ფინანსური ინსტრუმენტი მიჩნეულია იმად რაც კვოტირებულია აქტიურ ბაზარზე თუ ხსენებული კვოტირებული ფასები საფონდო ბირჟებზე და სხვა დაწესებულებებში ფაქტიურად და სისტემატიურად არსებობს და ეს ფასები წარმოადგენენ აქტიურ და სისტემატიურად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებს ნორმალურ საბაზრო ფასად.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა მაგალითად დისკონტირებული ფინანსური ნაკადების მოდელები ან ბოლოდროინდელი ნორმალური საბაზრო ფასით დადებულ გარიგებებზე დაფუძნებული მოდელები, ასევე ინვესტიციის სუბიექტებში ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებად, რისთვისაც არ მოიპოვება გარე საბაზრო საფასო ინფორმაცია. შეფასების ტექნიკა შეიძლება მოითხოვდეს ისეთი ვარაუდის დაშვებას, რომელიც არ იქნება გამყარებული დასაკვირვებელი ბაზრის მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულია ადგილები, სადაც ხსენებული ვარაუდის რაიმე სახის ცვლილება გონივრულად დაშვებული ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან განსხვავებულ მოგების, შემოსავლების, მთლიანი აქტივების ან მთლიანი ვალდებულებების სახით.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

ხარჯი არის ფულის თანხა ან მისი ექვივალენტი, რომელიც გადაიხდებინება ან აქტივის შესაძენად უშუალოდ შეძენის მომენტისთვის გაკეთებული სხვა დაშვების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ოპერაციის ხარჯებს. პირველადი ღირებულებით შეფასება გამოიყენება მხოლოდ კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებსაც არ გააჩნიათ საბაზრო კოტირება და რომლის სამართლიანი ღირებულება ვერ იქნება სანდო წესით განსაზღვრული და დერივატივები, რომლებიც დაკავშირებული არიან და უნდა დარეგულირდნენ ხსენებული არაკოტირებული კაპიტალის ინსტრუმენტების უზრუნველყოფით. იხილეთ შენიშვნა 9.

ოპერაციის ხარჯები დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ფინანსური ინსტრუმენტების შეძენასთან, გამოშვებასთან ან გასხვებისთანა დაკავშირებული. დამატებითი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაკეთებული, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ოპერაციის ხარჯები მოიცავს აგენტისადმი (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც სავაჭრო აგენტებად მოქმედებენ), კონსულტანტებისადმი, ბროკერებისადმი და დილერებისადმი გადახდილ საფასურსა და საკომისიოს, ასევე მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებელს, გადასახადების და მოსაკრებლის გადარიცხვას. ოპერაციის ხარჯები არ გულისხმობს ვალის პრემიას ან დისკონტს, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ამორტიზებული ხარჯი თანხა, რომლის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იქნა პირველად აღიარებაში, ვალის ნებისმიერი ძირის გადახდების გამოკლებით, თუმცა დარიცხული პროცენტების დამატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ნებისმიერი გაუფასურებისთვის გაწეული ხარჯების ჩამოწერის გამოკლებით. დარიცხული პროცენტები მოიცავს პირველადი აღიარებისას გადადებული ოპერაციების ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ეფექტური პროცენტული განაკვეთის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავლები და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოქმნის შემთხვევებისთვის გადადებული გადახდების ჩათვლით, არსებობის შემთხვევაში) არ არის წარმოდგენილი ცალკე და ჩართულია ბალანსის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ის, რომელიც აღიარებს საპროცენტო შემოსავლებს და საპროცენტო ხარჯებს შესაბამისი პერიოდში იქ, რომ გამოყვანილი იქნეს მულტიპერიოდული პროცენტული განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო სამომავლო გადახდების ან შემოსავლების დისკონტირებას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის სავარაუდო ან აუცილებლობის შემთხვევაში ნაკლებ პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის სუფთა საბალანსო ღირებულებაზე. დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეების ყველა გადახდილ ან მიღებულ საკომისიოს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია (იხილეთ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების პოლიტიკა).

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. მოგებაზე ან ზარალზე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, დერივატიული და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები საწყის ეტაპზე ტარდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი საწყის ეტაპზე ტარდება სამართლიანი ღირებულებით და ოპერაციის ხარჯით. სამართლიანი ღირებულება საწყისი აღიარებისას საუკეთესოდ არის დადასტურებული ოპერაციის ხარჯით. მოგება ან ზარალი საწყისი აღიარებისას ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხვაობა სამართლიანი ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობა არსებობს, რომელიც შეიძლება დადასტურდეს სხვა დაკვირვებითი მიმდინარე ოპერაციებით იგივე ინსტრუმენტში ან იმ ტექნიკის შეფასებით, რომელიც გასაანალიზებლად საჭიროებს დაკვირვების ბაზრის მონაცემებს.

ფინანსური აქტივების ყველა შეძენა და რეალიზაცია, რომლებიც მოითხოვენ მარეგულირებელი და ბაზრის კონვენციის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიწოდებას (შესყიდვისა და რეალიზაციის „სტანდარტული ოპერაციები“) აისახება ოპერაციის განხორციელების დღეს, როდესაც ჯგუფი კისრულობს ვალდებულებას ფინანსური აქტივების მიწოდებაზე. ფინანსური აქტივების ყველა შეძენისა და რეალიზაციის ოპერაცია, რომლებიც მოითხოვენ კანონმდებლობით ან ბაზრის მოთხოვნებით განსაზღვრულ ვადებში ფინანსური აქტივების მიწოდებას (შესყიდვის და რეალიზაციის „სტანდარტული პირობები“), ტარდება ოპერაციის განხორციელების დღეს, როდესაც ჯგუფმა ვალდებულება იკისრა ფინანსური აქტივის მიწოდება. ყველა სხვ შესყიდვა ტარდება როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტის თაობაზე საკონტრაქტო ურთიერთობაში მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას როდესაც (ა) აქტივები დაიფარება ან სხვაგვარად გასდის ვადა უფლებას აქტივიდან ფინანსური ნაკადების მიღებაზე, (ბ) ჯგუფს უფლებები ფინანსურ ნაკადებზე გასხვისებული აქვს ან იმყოფება საკვალიფიკაციო გარდამავალ პერიოდში, მაშინ როდესაც (1) ასევე მნიშვნელოვნად ასხვისებს ყველა მისი აქტივების ფლობიდან წარმოქმნილ რისკსა და სარგებელს, ან (2) მნიშვნელოვნად არც ასხვისებს და არც მფლობელობას არ გასცემს, მაგრამ არც კონტროლს ინარჩუნებს. კონტროლის შენარჩუნება ხდება თუ პარტნიორს პრაქტიკული უნარი არ შესწევს იმისა, რომ აქტივი დაუკავშირებელ მესამე პირს მთლიანად მიყიდოს რეალიზაციაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფული და მისი ექვივალენტი. ფული და მისი ექვივალენტი არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადი ფულადი სახსრების ცნობილ თანხაში და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და მისი ექვივალენტი მოიცავს ფულს სალაროში, საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღებ თანხას – სავალდებულო რეერების გარდა და ყველა ბანკოაქტორის განთავსება სამ თვემდე თავდაპირველი ვადიანობით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული ფონდები წარმოქმნაზე გამოირიცხება ფულისა და მისი ექვივალენტისგან. ფულის და მისი ექვივალენტის გამოიხატება ამორტიზებული ღირებულებით.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშებზე ტარდება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს აუცილებელი რეზერვების დეპოზიტს, რომელიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად. ამდენად, ის არ მოიაზრება ფულის და მისი ექვივალენტის ნაწილად ნაერთ ფინანსური ნაკადების უწყისის მიზნებისთვის.

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები. სავაჭრო ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც შექმნილია ან ფასის მოკლევადიანი ცვლილებებიდან ან სავაჭრო მარჟიდან მოგების მოსატანად, ან რომლებიც ჩართულია მოკლევადიანი ვაჭრობის სტრუქტურის მქონე პორტფელში. ჯგუფი ახდენს ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციას სავაჭრო ფასიანი ქაღალდებად თუ მისი მიზანია გაყიდოს ისინი შექმნიდან მოკლე პერიოდში, ე.ი. სამი ან ექვსი თვის ვადაში. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ამ კატეგორიიდან რეკლასიფიცირება არ ხდება მაშინაც კი, როდესაც ჯგუფის მიზნები საბოლოო ეტაპზე სახეცვლილებას იღებს. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ტარდება სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო შემოსავლები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ნაერთ სამშემოსავლო უწყისში წარმოდგენილია საპროცენტო შემოსავლების სახით. დივიდენდები წარმოდგენილია დივიდენდებიდან მიღებულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავლების ნაწილში როდესაც ჯგუფის მიერ დივიდენდების მიღების უფლება განისაზღვრება და აღბათობა არსებობს მათ ფაქტურ მიღებაზე. ჩამოწერიდან სამართლიანი ღირებულების, მოგების ან ზარალის ცვლილებების ყველა სხვა ელემენტი ანგარიშგებაში აისახება მოგება-ზარალის ნაწილში როგორც შემოსავლები, რომელსაც აკლდება წარმოქმნის პერიოდში ფასიანი ქაღალდების ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები.

სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები. სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები ტარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კონტრაგენტ ბანკებზე გასცემს ავანსს თუ გამიზნული არა აქვს განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები არაკვოტირებულ არადერივაციულ დავალიანება წარმოიქმნება ფიქსირებულ ან განსაზღვრულ ვადებში. სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები ტარდება ამორტიზებული ხარჯით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ტარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ავანსის წესით გასცემს თანხას კლიენტიდან არაკვოტირებული და არადერივაციული სადებეტო ვალდებულების წარმოსაქმნელად ან შესაძენად ფიქსირებულ ან განსაზღვრულ ვადებში და არ გაანუზრახავს დებიტორული დავალიანების სავაჭრო ოპერაციების განხორციელებას. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ტარდება ამორტიზებული ხარჯით.

როდესაც გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე ხდება ხელახალი მოლაპარაკებების წარმოება და ახალი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავდაპირველისგან, ახალი აქტივი საწყის ეტაპზე ტარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების ზარალი ტარდება ამორტიზებული ხარჯით. გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის უწყისში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავაჭრადო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი სანდო განსაზღვრაც შესაძლებელია. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ არ არსებობს ობიექტური დასაბუთება ცალკე შეფასებული ფინანსური აქტივის მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო გაუფასურების თაობაზე, ის ამ აქტივს ათავსებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ეს ერთობლივად ფასდება გაუფასურების ობიექტზე. ძირითადად ჯგუფი განიხილავს ისეთ ფაქტორებს ფინანსური აქტივის გაუფასურებაზე, როგორცაა მისი ვადიანობის გასვლა და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი. წარმოგიდგინებ სხვა ძირითად კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება უზრუნველყოფის ზარალის დანაკარგების ობიექტური დასაბუთებისთვის:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცილება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას,
- მსესხებელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება ბანკის მიერ მოპოვებული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციით,
- მსესხებელი იხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას,
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებით არის გამოწვეული და ამას გავლენა აქვს მსესხებელზე,
- გირაოს ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირებულია გაუარესებული საბაზრო ვითარების გამო.

გაუფასურების კოლექტური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

ფინანსური აქტივების ჯგუფში სამომავლო ფინანსური ნაკადების კოლექტიური შეფასება გაუფასურებაზე ხდება ისტორიულად ზარალის გამოცდილების და ვადაგადაცილებული სესხების ამოღების წარმატებული პრაქტიკის საფუძველზე. ისტორიული გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვების მონაცემების საშუალებით, რომელიც ასახავს მიმდინარე პირობების ეფექტს რასაც გავლენა არ ჰქონია წარსულის პერიოდებზე და გამოირიცხება ადრინდელი თუმცა ამჟამად არ არსებული პირობების ეფექტი.

თუ ამორტიზებული ხარჯით გატარებული გაუფასურებული ფინანსური აქტივის ვადები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სიტუალების გამო, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტურობის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების შეცვლამდე.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ყოველთვის ტარდება აქტივის საბალანსო ღირებულების ჩამოსაწერ სარეზერვო ანგარიშზე მოსალოდნელი ფინანსური ნაკადების არსებულ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა) აქტივის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების საშუალებით. დაგირავებული ფინანსური აქტივის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების არსებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფინანსურ ნაკადებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გირაოს მიღების ან რეალიზაციის შემოსავლებს გამოკლებული ხარჯებით – გირაოს ამოქმედების საჭიროების მიუხედავად.

თუ შესაბამის პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალის მოცულობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურად გაუფასურების აღიარების შემდეგ განვითარებული გარემოებასთან (მაგ. დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება) ადრე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღდება მოგების ან ზარალის საშუალებით სარეზერვო ანგარიშის კორექტირებით.

უიმედო აქტივების ჩამოწერა ხდება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის წილად მას შემდეგ რაც აქტივის აღდგენის ყველა აუცილებელი პროცედურა გამოყენებული იქნება და ზარალის ოდენობა დადგინდება.

გირაოს დაბრუნება. დაბრუნებული გირაო წარმოადგენს ჯგუფის მიერ ვადაგადაცილებული სესხების რეგულირებით შეძენილ ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივს. თავდაპირველად – შეძენისას, აქტივების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და ტარდება ობიექტურად ან აპარატურაში, საინვესტიციო ქონება ან ინვენტარი სხვა აქტივების ჯგუფში – მათი ბუნების და ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით ჯგუფის განზრახვის მიხედვით. შესაბამისად ხდება მათი გადაფასება და გატარება აქტივების ამ კატეგორიისთვის დასახული საბუღალტრო პოლიტიკის თანახმად. დაბრუნებული აქტივების ინვენტარიზაცია ტარდება შემცირებული თვითღირებულებით ან რეალიზაციის სუფთა ღირებულებით.

კრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებები. ჯგუფი იღებს კრედიტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, მათ შორის აკრედიტებებს და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტია წარმოადგენს შეუქცევად გარანტიას გადახდის განხორციელებაზე იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე მხარის წინაშე მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და იგივე საკრედიტო რისკი აკისრია რაც სესხებს. სესხის გასაცემად განსაზღვრული ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები საწყის ეტაპზე აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო სარგოთი. ეს თანხა სწორზაზოვნად ამორტიზდება ვალდებულების პერიოდში გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც განაპირობებს სესხის წარმოქმნას თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის შედეგობრივი სესხის რეალიზაციას გაცემიდან მოკლე პერიოდშივე. ასეთი საკრედიტო ვალდებულების საკომისიო დაგვიანებულია და საწყისი აღიარებისას გათვალისწინებულია სესხის საბალანსო ღირებულებაში. ყოველ საანგარიშსწორებო პერიოდში ვალდებულებები ფასდება შედარებით მეტად ვიდრე: (ა) არაამორტიზებული თანხის ნაშთი საწყისი აღიარებისას და (ბ) ვალდებულების დასაკმაყოფილებლად ხარჯების საუკეთესო ვარაუდი საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისთვის.

სარეალიზაციო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ეს კლასიფიკაცია მოიცავს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებს, რომლებსაც ჯგუფი აპირებს შეინახოს დროის განუსაზღვრელი პერიოდით და რომლებიც შეიძლება რეალიზებული იქნეს ლიკვიდურობის საჭიროებებიდან გამომდინარე ან საპროცენტო განაკვეთის, გაცვლითი კურსის ან კაპიტალის ფასების ცვლილებისას. ჯგუფი შეძენის მომენტში ახდენს ინვესტიციის კლასიფიკაციას რეალიზაციისთვის.

სარეალიზაციო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები საბალანსო უწყისში აისახება სამართლიანი ღირებულებით. საპროცენტო შემოსავლები სავალო სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდებზე გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. დივიდენდები სარეალიზაციო კაპიტალის ინსტრუმენტებში აღიარებულია მოგებაში ან ზარალში როდესაც ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლება დგება და სავარაუდო ხდება დივიდენდების მიღებაც. სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებების ყველა სხვა ელემენტი გადაიდება კაპიტალში სანამ ინვესტიცია წყდება ან უფასურდება. ასეთ შემთხვევაში ნაერთი სარგებელი ან ზარალი კაპიტალს გამოეყოფა და ტარდება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება მათი წარმოქმნა ერთი ან მეტი გარემოების შედეგად („ზარალის შემთხვევები“), რომლებიც წარმოიქმნება სარეალიზაციო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საწყისი აღიარების შემდეგ.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

წილობრივი ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება მისი ღირებულების ქვემოთ არის მისი გაუფასურების მაჩვენებელი. ნაერთი გაუფასურების ზარალი იზომება შესყიდვის ფასსა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის არსებული სხვაობით, რომელსაც აკლდება ამ აქტივის ადრე მოგებაში ან ზარალში გატარებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი. ის აკლდება კაპიტალს და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. კაპიტალის ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალი არ ბრუნდება მოგებით ან ზარალით. თუ შესაბამის პერიოდში სარეალიზაციოდ კლასიფიცირებული ვალის ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება იზრდება და ეს ზრდა შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების ზარალის მოგებაში ან ზარალში აღიარების შემდეგ დამდგარი გარემოებით, გაუფასურების ზარალი ბრუნდება მიმდინარე პერიოდის მოგებით ან ზარალით.

ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ეს კლასიფიკაცია მოიცავს კვოტირებულ არა-დერივატიულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით და ფიქსირებული ვადებით, რომელსაც ჯგუფი აპირებს და შეუძლია ფლობდეს ვადიანობამდე. ხელმძღვანელი რგოლი განსაზღვრავს ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდის კლასიფიკაციას საწყისი აღიარებით და გადააფასებს ამ კლასიფიკაციის მართებულობას ყოველ საანგარიშო პერიოდში. ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

პრესტიჟი. პრესტიჟი წარმოადგენს მყიდველის მიერ შენაძენის სამართლიანი ღირებულების მატებას გაცვლის მომენტისთვის შემენილი დაქვემდებარებული ორგანიზაციის ან ასოცირებული პირის სახით მყიდველის გამოვლენილი აქტივების, ვალდებულებების, სავარაუდო ვალდებულებების წილში. ნაერთ საბალანსო უწყისში პრესტიჟი ცალკეა წარმოდგენილი დაქვემდებარებული ორგანიზაციის შემენისას. ასოცირებული პირის შემენისას კი პრესტიჟი აისახება ასორიცებულ პირებში განთავსებულ ინვესტიციებში. პრესტიჟი აისახება პირველადი ღირებულებით თუმცა, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ნაერთი ზარალის გამოკლებით.

ჯგუფი ახდენს პრესტიჟის გაუფასურების ტესტირებას მინიმუმ წელიწადში ერთხელ და მაშინაც როდესაც შეინიშნება პრესტიჟის გაუფასურების ნიშნები. პრესტიჟი განთავსებულია შემოსავლების გენერირების ერთეულებში ან ასეთი ერთეულების ჯგუფში, რამაც მოსალოდნელია სარგებელი ნახოს ბიზნესის კომპონენტის შედეგად განხორციელებული წარმატებული ერთობლივი ძალისხმევით. ასეთი ერთეულები ან მათი ჯგუფი წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, სადაც ჯგუფი ახდენს პრესტიჟის მონიტორინგს და რომელიც ზომით არ აღემატება სემენტს. პრესტიჟის მიკუთვნებით ფულის გენერირების ერთეულში ოპერაციის განთავსებიდან მიღებული სარგებელი ან ზარალი მოიცავს ამ ოპერაციასთან ასოცირებული პრესტიჟის საბალანსო ღირებულებას, რომელიც ზოგადად იზომება განთავსებული ოპერაციის შედარებითი ღირებულების და ფულის გენერირების ერთეულის კონკრეტულად მიმაგრებული ნაწილის საფუძველზე.

ობიექტები და აპარატურა. Premises ობიექტები და აპარატურა, გარდა მშენებლობის სტადიაზე არსებული შენობა-ნაგებობებისა აისახება საბალანსო უწყისში და აკლდება ნაერთი ცვეთა და საჭიროებისამებრ – გაუფასურების რეზერვი. შემენილი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ობიექტების და აპარატურის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება შემენის მომენტისთვის.

საწყისი აღიარების შემდეგ მშენებლობის სტადიაში მყოფი შენობა-ნაგებობები ტარდება გადაფასებული ღირებულებით, რაც ხსენებული გადაფასების თარიღისთვის სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს. მას აკლდება ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და ასევე შემდგომი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. გადაფასება საკმაოდ ხშირად ხდება, რათა აღმოფხვრილი იქნეს საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი სხვაობა იმისგან, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით.

ნებისმიერი გადაფასების პროფიციტი ემატება ქონების და აპარატურის გადაფასების რეზერვს კაპიტალში, იმავე აქტივის გადაფასების გამოკლებით, რომელიც ადრე აღიარებული იყო ნაერთ საშემოსავლო უწყისში. ამ შემთხვევაში მატება აღიარებულია ნაერთ საშემოსავლო უწყისში ადრე დაკავებული შემცირების ხარჯზე. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია ნაერთ საშემოსავლო უწყისში, გარდა იმ გარემოებისა, სადაც იმავე აქტივის ადრინდელი პროფიციტის დამბალანსებელი უშუალო დეფიციტი ახდენს გადაფასების რეზერვში ქონების და აპარატურის მატების უშუალო დაბალანსებას.

გადაფასებული შენობების ცვეთა აისახება ნაერთ საშემოსავლო უწყისში. გადაფასებული ქონების გასხვისების, კონკრეტულ რეალიზებულ ან გასულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასებული რეზერვი გადაეცემა გაუნაწილებელ მოგებას.

მცირე სარემონტო და გვერდითი სამუშაოების ხარჯები მიეკუთვნება წარმოქმნილი ხარჯების კატეგორიას. ობიექტების ან აპარატურის ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯის კაპიტალიზაცია ხდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი გასვლას ექვემდებარება.

თუ გაუფასურებულია, ობიექტები და აპარატურა ჩამოიწერება გამოყენებაში არსებული მაღალი ღირებულებიდან და სამართლიანი ღირებულებიდან, რასაც აკლდება რეალიზაციის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება მიეკუთვნება მოგებას ან ზარალს იმ მოცულობით, რომლითაც ის აღემატება კაპიტალში მის წინამორბედი გადაფასების პროფიციტს. წინა წლებში აქტივის გაუფასურების აღიარებული ზარალი ბრუნდება თუ შეცვლილია გამოყენებული აქტივის ღირებულების განმსაზღვრელი სავარაუდო მაჩვენებლები ან სამართლიანი ღირებულება, რომელსაც რეალიზაციის ხარჯები აკლდება.

აქტივის გასვლისას სარგებელი და ზარალი განისაზღვრება მისგან მიღებული შემოსავლების შედარებით მისივე საბალანსო ღირებულებასთან და აისახება მოგებაში ან ზარალში.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

ამორტიზაცია. მიწა არ ამორტიზდება. ობიექტების და აპარატურის სხვა ნივთებზე ამორტიზაცია გამოითვლება სწორხაზოვანი მეთოდით, რათა შემდგენიარად განისაზღვროს მათი ხარჯები ან გადაფასებული თანხები მათივე ნარჩენ ღირებულებაზე სავარაუდო სარგებლიანი პერიოდის განმავლობაში:

ობიექტები	30 - 50 წელი
ავეჯი და დანადგარები	5 - 8 წელი
კომპიუტერები და ოფისის აპარატურა	3 - 5 წელი
ავტომობილები	4 - 5 წელი
სხვა აპარატურა	2 - 8 წელი
იჯარით აღებული ფართის გაუმჯობესება	7 წელზე ნაკლები ან ძირითადი იჯარის ვადა

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის სავარაუდო ფასი, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასხვისებიდან, რასაც გამოაკლდება გასხვისების ხარჯი თუ აქტივი იმ მდგომარეობაშია, რაც მოსალოდნელი იყო მისი ვარგისიანობის პერიოდის ამოწურვისთვის. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია თუ ჯგუფი აპირებს აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური ვარგისიანობის ვადის გასვლამდე. აქტივის ნარჩენი ღირებულება და ვადიანობა გადაისინჯება და საჭიროებისამებრ კორექტირდება ყოველ საანგარიშო პერიოდში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის ხელთ არსებული ქონება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად, ან ორივე მიზნით და რომელიც არ არის ჯგუფის მიერ დაკავებული.

საინვესტიციო ქონება ტარდება პირველადი ხარჯით, რომელსაც ნაერთი ცვეთა და საჭიროებისამებრ გაუფასურების რეზერვი აკლდება. თუ რაიმე ნიშანი არსებობს იმისა, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი განსაზღვრავს ამოღების სავარაუდო თანხას, როგორც ხმარებაში არსებული მაღალი მოცულობა და სამართლიანი ღირებულება, რასაც რეალიზაციის ხარჯები აკლდება. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ამოსაღებ თანხამდე წლის მოგებიდან ან ზარალიდან. წინა წლებში აღიარებული გაუფასურებული ზარალი ბრუნდება თუ შემდგომში ცვლილება იქნა განხორციელებული ვარაუდში, რომელიც გამოიყენება აქტივის ამოსაღებ თანხის განსაზღვრისთვის.

გამომუშავებული იჯარიდან შემოსავლები ტარდება წლის მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლების ჯგუფში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით გამოწვეული სარგებელი და ზარალი ტარდება ცალკე წარმოდგენილი წლის მოგებაში ან ზარალში.

შემდგომი ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებამდე მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ხარჯებთან დაკავშირებით ჯგუფი ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს მომავალში და ხარჯებიც სანდო წესით შეფასდება. ყველა სხვა სარემონტო და შენახვის ხარჯები ტარდება წარმოქმნისას.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის ყველა არამატერიალური აქტივის გააჩნია განსაზღვრული ვარგისიანობის პერიოდი და ეს უპირველესად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შემნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შემენისა და ამოქმედებაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. მათთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯები, მაგ. მის შენახვაზე, ტარდება წარმოქმნისას. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სწორხაზოვნად ორიდან რვა წლამდე მოსალოდნელი ვარგისიანობის მთელს პერიოდზე.

იჯარაში განხორციელებული ინვესტიციები. როდესაც საიჯარო ურთიერთობაში ჯგუფი არის იჯარის გამცემი, რომელიც იჯარის ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს გადასცემს მეიჯარეს. იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც ფინანსური იარის დავალიანება და ტარდება სამომავლო იჯარის გადახდების არსებული ღირებულების სახით. იჯარაში ინვესტიციები საწყის ეტაპზე აღიარებულია დაწყებისას (როდესაც იჯარის პერიოდი იწყება) დისკონტის განაკვეთის გამოყენებით დასაწყისში (უადრესი თარიღი იჯარის ხელშეკრულებასა და მხარეთა ვალდებულებების თარიღს შორის იჯარის ძირითადი პირობების თანახმად).

მთლიან შემოსავლებსა და მიმდინარე ღირებულებებს შორის სხვაობა წარმოადგენს მიუღებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარებულია იჯარის პერიოდში წმინდა საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (გადასახადებამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ ამონაგებს. მოლაპარაკებებთან და საიჯარო ურთიერთობის გაფორმებასთან უშუალოდ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები გათვალისწინებულია ფინანსური იჯარის შემოსავლების საწყის გაზომვასთან და იჯარის პერიოდში აღიარებული შემოსავლების შემცირებასთან. იჯარიდან ფინანსური შემოსავლები ტარდება ნაერთი საშემოსავლო უწყისის საპროცენტო შემოსავლებში.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წარმოქმნისას ერთი ან მრავლობითი გარემოების შედეგად („ზარალის გარემოებები“), რომლებიც იჯარაში ინვესტიციების საწყისი აღიარების შემდეგ მოხდა. ჯგუფი იყენებს იგივე ძირითად კრიტერიუმებს იმის განსაზღვრისთვის, რომ ობიექტური მტკიცებულება ნამდვილად არსებობს გაუფასურების ზარალის დადგენაზე იმ სესხების მიმართებით, რომლებიც ამორტიზებული ხარჯების იყო გატარებული ამავე შენიშვნაში. გაუფასურების დანაკარგების აღიარებულია სარეზერვო ანგარიშში მოსალოდნელი ფინანსური ნაკადების მიმდინარე ღირებულებიდან წმინდა დებიტორული საბალანსო ღირებულების ჩამოსაწერად (რომელიც გამოიცხადეს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც არ განხორციელებულა), რომლებიც დისკონტრირებულია ფინანსურ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. სამომავლო ფინანსური ნაკადების ვარაუდი ასახავს იმ ფინანსურ ნაკადებს, რომლებიც იჯარას დაქვემდებარებული აქტივების მიღების და რეალიზაციის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას.

არამიმდინარე აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სარეალიზაციოდ გამიზნული. Non-current არამიმდინარე აქტივები და გასხვისების ჯგუფები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც არამიმდინარე და მიმდინარე აქტივებს, რომლებიც კლასიფიცირებულია „სარეალიზაციოდ გამიზნული არამიმდინარე აქტივების“ სახით ფინანსური პოზიციის უწყისში თუ მათი საბალანსო ღირებულება ამოღებული იქნება ძირითადად რეალიზაციის ოპერაციის განხორციელებით, მათ შორის დაქვემდებარებულ აქტივებზე კონტროლის დაკავშირებით საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტი თვის ვადაში. აქტივების ხელახალი კლასიფიკაცია ხდება როდესაც ყველა შემდეგი პირობა შესრულებულია: (ა) აქტივები გამოტანილია არსებულ მდგომარეობა და ოპერატიული წესით რეალიზაციისთვის, (ბ) ჯგუფის ხელმძღვანელმა რგოლმა დაამტკიცა და დანერგა აქტიური პროგრამა მყიდველის გამოსავლენად, (გ) აქტივების ნორმალურ ფასად რეალიზაციისთვის მარკეტინგი აქტიურად ხორციელდება, (დ) რეალიზაცია მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში, (ე) ნაკლებად სავარაუდოა, რომ აქტივის რეალიზაციის გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდეს ან მოხდეს გეგმიდან გადახვევა. არამიმდინარე აქტივები ან გასხვისების ჯგუფები, რომლებიც სარეალიზაციოდ არის კლასიფიცირებული მიმდინარე პერიოდის ფინანსური პოზიციის უწყისში არ ექვემდებარება ხელახალ კლასიფიკაციას ან ხელახალ წარმოდგენას ფინანსური პოზიციის შედარებით უწყისში მიმდინარე პერიოდის ბოლოს კლასიფიკაციის მიზნით.

გასახვისებელი ჯგუფი არის აქტივების ჯგუფი (მიმდინარე ან არამიმდინარე), რომლებიც გასხვისებული უნდა იქნეს რეალიზაციით ან სხვაგვარად, ერთობლივად ჯგუფის სახით ან ცალკეული ოპერაციების საშუალებით, ხოლო ამ აქტივებთან უშუალოდ დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც გასხვისდება ამ ოპერაციის საშუალებით. პრესტიჟი გათვალისწინებულია თუ გასახვისებელი ჯგუფი მოიცავს ფულის მომტან ერთეულში განხორციელებულ ისეთ ოპერაციას, რომელზეც პრესტიჟია გაცემული შესაძენად. არამიმდინარე აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც მოიცავენ საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტი თვის ვადაში ამოღებულ ან მოზღლიზებულ თანხებს. თუ რეკლასიფიკაცია საჭირო აქტივების როგორც მიმდინარე ისე არამიმდინარე ნაწილების რეკლასიფიკაცია ხდება.

სარეალიზაციოდ გამიზნული გასახვისებელი ჯგუფი მთლიანად ფასდება მათი საბალანსო ღირებულების ნაკლებ ფასად და სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც რეალიზაციის ხარჯები აკლდება. სარეალიზაციო ობიექტები და აპარატურა, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები არ ამორტიზდება და არც ცვეთას ექვემდებარება. ხელახლა კლასიფიცირებული არამიმდინარე ფინანსური ინსტრუმენტები და გადავადებული გადასახადები არ ექვემდებარება ჩამოწერას მათი საბალანსო ღირებულებათაგან უმდაბლესამდე და სამართლიანი ღირებულებამდე, რასაც რეალიზაციის ხარჯები აკლდება.

გასახვისებელ ჯგუფებთან უშუალოდ დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც გადაცემული იქნება გასხვისების ოპერაციის ფარგლებში, ექვემდებარება ხელახალ კლასიფიკაციას და ცალკეა წარმოდგენილი ფინანსური პოზიციის უწყისში.

ვალდებულებები სხვა ბანკებისადმი და სხვა ნასესხები თანხები. ვალდებულებები სხვა ბანკებისადმი ტარდება როდესაც ფული ან სხვა აქტივები ავანსის სახით გაიცემა ჯგუფზე კონტრაგენტი ბანკების მიერ. არა-დერივატიული ვალდებულებები ტარდება ამორტიზებული ხარჯით. თუ ჯგუფი იძენს მისივე ვალს, ის ამოიღება ნაერთი საბალანსო უწყისიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის ტარდება ვალის გასვლიდან წარმოქმნილ სარგებელში ან ზარალში.

კლიენტების ანგარიშები. კლიენტების ანგარიშები არადერივატიული ვალდებულებებია ფიზიკური პირების და სახელმწიფო ან კერძო სექტორში მოქმედი იურიდიული პირების მიმართ და ტარდება ამორტიზებული ღირებულებით.

დაქვემდებარებული სესხი. დაქვემდებარებული სესხი მოიცავს გრძელვადიან, არა-დერივატიულ ვალდებულებებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისადმი და ტარდება ამორტიზებული ხარჯებით. დაქვემდებარებული სესხის გადახდა რანგით ყველა სხვა კრედიტორის შემდეგ მოდის ლიკვიდაციის შემთხვევაში და გათვალისწინებულია ბანკის „მე-2 რიგის კაპიტალში“.

დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები. დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო კონტრაქტები, საპროცენტო განაკვეთები, ფორვარდული განაკვეთების შეთანხმებები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფიები ტარდება მათი სამართლიანი ღირებულებით.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

ყველა დერივატიული ინსტრუმენტი ტარდება აქტივის სახით როდესაც სამართლიანი ღირებულება პოზიტიურია, ხოლო ვალდებულებად – როდესაც სამართლიანი ღირებულება ნეგატიურია. ცვლილებები დერივატიული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში გათვალისწინებულია მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი არ იყენებს საბუღალტრო ჰეჯირების პრინციპს.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში გათვალისწინებული გარკვეული დერივატიული ინსტრუმენტები ტარდება ცალკე დერივატიული ინსტრუმენტებად, როდესაც მათი რისკი და მახასიათებლები მჭიდროდ არ არიან დაკავშირებული ძირითადი კონტრაქტის პირობებთან.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ნაერთ ფინანსურ უწყისში კანონმდებლობის თანახმად, რაც მოქმედებს ან შემდეგში ამოქმედდება საანგარიშგებო პერიოდში იმ ტერიტორიებზე სადაც ბანკი და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციები ფუნქციონირებენ. საშემოსავლო გადასახადის ხარჯი/აქტივი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარებულია ნაერთ საშემოსავლო უწყისში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უშუალოდ აღიარებულია კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში უშუალოდ კაპიტალშია ასევე აღიარებული.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც ან საგადასახადო ორგანოებიდან დაბრუნება არის მოსალოდნელი გადასახადებდაკისრებული მოგებაზე ან ზარალზე მიმდინარე ან ადრეული პერიოდებისთვის. გადასახადებდაკისრებული მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს თუ ფინანსური უწყისები ავტორიზებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლების დეკლარირებამდე. გადასახადები, საშემოსავლოს გარდა, ტარდება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადები უზრუნველყოფილია საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის გატარებისთვის და დროებითი სხვაობებისთვის, რაც წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. საწყისი აღიარების გათვალისწინებით შესაბამისად გადავადებული გადასახადები არ ტარდება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარების დროებით სხვაობებზე იმ ოპერაციებში, რომლებიც არ გულისხმობენ ბიზნესის კომბინაციას თუ ოპერაცია საწყისი გატარებისას გავლენას არ ახდენს არც ბუღალტრულ აღრიცხვაზე და არც გადასახადებდაკისრებულ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება არ ტარდება პრესტიჟის საწყისი აღიარების დროებით სხვაობაზე და შესაბამისად პრესტიჟზე, რომელიც არ აკლდება მას საგადასახადო მიზნებისთვის. გადავადებული საბადასახადო ნაშთები ფასდება მოქმედი ან შემდგომში ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთებით საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოსალოდნელი გამოყენებული იყოს ამ პერიოდზე, როდესაც დროებითი სხვაობები ბრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადატანა შეფარდებული იქნება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნულდება მხოლოდ ჯგუფის ცალკეულ კომპანიებში. გადავადებული გადასახადების აქტივები გამოკლებულ დროებით სხვაობებზე და საგადასახადო ზარალზე გადადის მომდევნო პერიოდებში და ტარდება მხოლოდ იმ დოზით, რაც სავარაუდოდ სამომავლო გადასახადებდაკისრებული მოგება არ იარსებებს გამოკლების შესაფარდებლად.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი უზრუნველყოფილია დაქვემდებარებული ორგანიზაციების შემქმნის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს დაქვემდებარებული ორგანიზაციის დივიდენდების პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ სხვაობა უახლოეს მომავალში არ დაბრუნდება დივიდენდებში ან სხვაგვარად.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება ხდება ხელმძღვანელი რგოლის მიერ ყოველ საანგარიშო პერიოდში. ვალდებულებები ტარდება საშემოსავლო გადასახადების პოზიციებზე, რომლებიც განისაზღვრება ხელმძღვანელი რგოლის მიერ, რადგან უფრო სავარაუდოა გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების დაკისრება თუ პოზიციები შესაცვლელი გახდება საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რაც ამოქმედებულია ან შემდგომში ამოქმედდება საანგარიშო პერიოდში და ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განმკარგულელები ორგანოს მიერ ამ კონკრეტულ საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმებზე, პროცენტზე და გადასახადებზე — საშემოსავლოს გარდა, აღიარებული ხელმძღვანელი რგოლის საუკეთესო ვარაუდზე დაყრდნობით იმ ხარჯების მიმართებით, რომლებიც საჭიროა ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში.

ვალდებულებების და გადასახდელების დარეზერვება. ვალდებულებების და გადასახდელების დარეზერვება არაფინანსური ვალდებულებაა გაურკვეველი ვადიანობით ან მოცულობით. ისინი გროვდება როდესაც ჯგუფს აკისრია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში განვითარებული მოვლენების შედეგად, შესაძლებელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების შესასრულებლად და სანდო ვარაუდის გაკეთება შესაძლებელია ვალდებულების მოცულობაზე.

საქვითი კაპიტალი. სტანდარტული აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებული ხარჯები უშუალოდ უკავშირდება ახალი აქციების ან ოფციების გამოშვებას და კაპიტალში ტარდება შემოსავლებიდან გამოკლების, გადასახადებისგან ცალკეულად. ნებისმიერი ზედმეტი შემოსავალი გამოშვებული აქციების ნომინალური სამართლიანი ღირებულების ზემოთ ტარდება კაპიტალში პრემიის სახით.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები ტარდება ნაერთ საშემოსავლო უწყისში ყველა სავალსე ინსტრუმენტზე დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ახდენს საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების სახით მხარეებს შორის კონტრაქტისადმი ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიოს გადავადებას, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯების და ყველა სხვა პრემიის ან დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ წამოწყების საფასურს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გამოცემა, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. ვალდებულების საკომისიო მიიღება ჯგუფის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხების წარმოსაქმნელად არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი თუ შესაძლებელია, რომ ჯგუფი გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის შედეგობრივი სესხის რეალიზებას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე. ჯგუფი არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებად სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხების და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საქვო ხდება, ხდება მათი ჩამოწერა მოსალოდნელი ფინანსური ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებამდე და საპროცენტო განაკვეთი იქვე ტარდება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე გასაშლელად აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები ზოგადად ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ვასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მესამე მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ. სესხების, წილების და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რისი გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას. პორტფელის და სხვა ხელმძღვანელი რგოლის საკონსულტაციო და მომსახურების საფასური აღიარებულია შესაბამისი მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ დროსთან პროპორციული წესით. აქტივების მართვის საკომისიო დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან და პროპორციულად ტარდება მომსახურების უზრუნველყოფის მთელ პერიოდში. იგივე პრინციპი გამოიყენება აქტივების მართვასთან, ფინანსური დაგეგმარებასთან და სადეპოზიტო მომსახურებასთან, რაც განუხრელად უზრუნველყოფილია დროის ხანგრძლივ პერიოდში.

სავალუტო ოპერაციები. ჯგუფის თითოეული კონსოლიდებული ერთეულის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს კონკრეტული ერთეული ფუნქციონირებს. ბანკის ფუნქციონალური, ხოლო ჯგუფის საპრეზენტაციო ვალუტაა ქართული ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ყოველ საანგარიშო პერიოდში გადაითვლავინება თითოეული ერთეულის ფუნქციონალურ ვალუტაში შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, სადაც ბანკი და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციები ფუნქციონირებენ. საანგარიშსწორებო ოპერაციების შედეგად და ასევე ფულადი აქტივების და ვალდებულებების ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების შედეგად თითოეული ერთეულის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოქმნილი სავალუტო სარგებელი და ზარალი წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. წლის ბოლოს გადასვლა არ ეხება არაფულად მუხლებს, მათ შორის – კაპიტალში ინვესტიციებს. გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი წილობრივი ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე ტარდება სამართლიანი ღირებულების სარგებლის ან ზარალის ნაწილის სახით.

ჯგუფის თითოეული ერთეულის შედეგი და ფინანსური პოზიცია (არცერთი მათგანის ფუნქციონალური ვალუტაა ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტა) შემდგენიარად გადადის საპრეზენტაციო ვალუტაში:

- (i) თითოეულ საბალანსო უწყისში წარმოდგენილი აქტივები და ვალდებულებები გადმოტანილია ამ კონკრეტული საბალანსო უწყისის შედგენის თარიღზე დღის ბოლოს არსებული კურსით,
- (ii) თითოეული საშემოსავლო უწყისის შემოსავლები და ხარჯები გადმოტანილია საშუალო გაცვლითი კურსით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხსენებული საშუალო არ არის გონივრულად მიჩნეული ოპერაციის დღეებში არსებული დომინანტი განაკვეთების ნაერთი ეფექტის დაახლოებითი მაჩვენებელი, რომელ შემთხვევაშიც შემოსავლები და ხარჯები გადადის ოპერაციის დღეებში),
- (iii) შედეგად მიღებული ყველა სავალუტო სხვაობა აღიარებულია კაპიტალის ცალკეულ კომპონენტად.

როდესაც ხდება დაქვემდებარებული ორგანიზაციის გასხვისება რეალიზაციის, ლიკვიდაციის, საექსპორტო კაპიტალის გადახდის ან ყველასან მიტოვების გზით ან მისი რომელიმე კომპონენტის სახით, ამ კონკრეტულ ერთეულზე გაცვლითი კურსით მიღებული სხვაობა გადადებულია კაპიტალში მოგების ან ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის საშუალებით.

უცხოური პირის შექმნიდან გამომდინარე პრეტორიის და სამართლიანი ღირებულების კორექტირება მიიჩნევა ამ კონკრეტული უცხოური პირის აქტივად და ვალდებულებად და გადმოდის საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული განაკვეთით.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონაცემების გადმოტანისთვის გამოსაყენებლად საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ვალუტის გაცვლითი კურსია: 1 აშშ დოლარი = 1.7728 ლარი (2009 წელს: 1 აშშ დოლარი = 1.6858 ლარი); 1 ევრო = 2.3500 ლარი (2009 წელს: 1 ევრო = 2.4195 ლარი).

ჩათვლება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთ ჩათვლას ექვემდებარება და ჩათვლილი მოცულობა ტარდება კონსოლიდებულ საბალანსო უწყისში მხოლოდ მაშინ, როდესაც იურიდიულად აღსრულებადი უფლება არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლაზე და არსებობს იმის განზრახვა, რომ ან ჩათვალის წმინდა მოცულობის საფუძველზე ან რეალიზებული იქნეს აქტივი და ამის პარალელურად დაკმაყოფილდეს ვალდებულება.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამება (გაგრძ.)

პერსონალის ხარჯები და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, შრომის ანაზღაურება, სახელფასო შევებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი დანამატებიერიცხება იმ წელს, როდესაც ხსენებული მომსახურება იქნა უზრუნველყოფილი ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

აქციებზე დაფუძნებული გადახდები. აქციებზე დაფუძნებული საკომპენსაციო გეგმის თანახმად ჯგუფი იღებს მომსახურებას უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლისგან ჯგუფის კაპიტალის ინსტრუმენტების (ოფციების) გათვალისწინების სახით. ოფციის ჩუქების სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია ხარჯად. ხარჯების მთელი მოცულობა განისაზღვრება ბოძებული ოფციების სამართლიანი ღირებულების მიმართებით, რასაც აკლდება ნებისმიერი არასაბაზრო მომსახურების გავლენა და ფუნქციონირების პირობები. არასაბაზრო ფუნქციონირების პირობები გათვალისწინებულია იმ ვარაუდში, რომელიც კეთდება გადასაცემი ოფციების რაოდენობაზე. ხარჯების სრული მოცულობა აღიარებულია გადაცემის პერიოდში, რომელიც დროის ის მომაკვეთია, რომელშიც ყველა გადასაცემი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის ჯგუფი ახდენს გასაკეთებელი ოფციების რაოდენობის ვარაუდის გადასინჯვას არასაბაზრო გადაცემის პირობებზე დაყრდნობით. ის აღიარებს თავდაპირველი ვარაუდის გადასინჯვის გავლენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ოპერაციების უწყისში, კაპიტალში შესაბამისი კორექტირებით. მიღებული შემოსავლები, მინუს ნებისმიერი პირდაპირი შესაბამისი ოპერაციის ხარჯები, ემატება სააქციო კაპიტალს (ნომინალური ღირებულება) და სააქციო პრემიას როდესაც ოფციები გამოიყენება.

3 კრიტიკული საბუღალტრო აღრიცხვის ვარაუდები და საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების მართებულობა

ჯგუფი ვარაუდს უშვებს და დაშვებებს აკეთებს, რასაც გავლენა ექნება მომდევნო ფინანსური წლის ანგარიშში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობებზე. ვარაუდი და მართებულობა მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელი რგოლის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულად მიიჩნევა რომ გარკვეულ პირობებში განხორციელდება. ხელმძღვანელი რგოლი ასევე აკეთებს გარკვეულ მოსაზრებებს, გარდა ვარაუდისა, საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების თაობაზე. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობების ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტის მქონე მოსაზრებები და ვარაუდი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მიმართ ასეთია:

კაპიტალში სარეალიზაციოდ განსაზღვრული ინვესტიციების გაუფასურება. ჯგუფი მიიჩნევს, რომ კაპიტალში სარეალიზაციოდ განსაზღვრული ინვესტიციები გაუფასურებულია როდესაც სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლება შეინიშნება მის ხარჯებს ქვემოთ. ეს განსაზღვრა მოითხოვს დაკონკრეტებას რათა განმარტებული იქნეს რას ნიშნავს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი. ამ განსაზღვრების გაკეთებისას ჯგუფი სხვა მრავალ ფაქტორს შორის აფასებს აქციების ფასების ცვლილებებს. ამასთანავე, გაუფასურება შეიძლება აქტუალური იქნეს როდესაც დასტურდება ინვესტიციის სუბიექტის, სფეროს და დარგის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, ცვლილებები ტექნოლოგიებში, ფუნქციონირებაში ან ფინანსური ნაკადების დაფინანსებაში.

პირველადი ღირებულებით გატარებული ინვესტიციები. ხელმძღვანელმა რგოლმა ვერ შეძლო სანდო წესით განსაზღვრა სარეალიზაციოდ განსაზღვრული არაკვოტირებული კაპიტალური ინვესტიციების ფასიან ქალაქებში ჯგუფის ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება (სს საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია და სხვა ინვესტიციები). ინვესტიციები გატარებულია ხარჯებში 1,766 ათასი ლარი (2009 წელი: 1,766 ათასი ლარი). ინვესტიციის სუბიექტს არ გამოუქვეყნებია 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი ფინანსური ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ. მისი აქციები არ არის კვოტირებული და ბოლოდროინდელი ვაჭრობების ფასები არ არის საჯაროდ გაცხადებული და ხელმისაწვდომი.

სესხების და ავანსების გაუფასურების ზარალი. ჯგუფი სისტემატიურად იხილავს მის საკრედიტო პორტფელს გაუფასურების შეფასების მიზნით. სამემოსავლო უწყისში გაუფასურების ზარალის გატარების მართებულობის განსაზღვრისას ჯგუფი აანალიზებს დასაკვირვებელი ისტორიული მონაცემების არსებობას, რომელიც ადასტურებს საკრედიტო პორტფელის სამომავლო ფინანსური ნაკადების შესაძლო კლების პერსპექტივას სანამ კლება უშუალოდ გამოვლინდება ხსენებული სარედიტო პორტფელის ცალკეულ სესხზე. ეს დასტური შეიძლება მოიცავდეს დასაკვირვებელ მონაცემებს, რომელიც ცხადყოფს, რომ ჯგუფში მსესხებლების გადახდისუნარიანობის სტატუსი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკის კონიუნქტურა გაუარესდა და ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის აქტივებზე დეფოლტების წარმოქმნა. ხელმძღვანელი რგოლი ვარაუდს უშვებს ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე საკრედიტო რისკის მქონე აქტივების და ობიექტური დასტურის საფუძველზე, რომელიც ადრე იყო გამოვლენილი პორტფელში მსგავსი გაუფასურების სახით სამომავლო ფინანსური ნაკადების გაწერისას. სამომავლო ფინანსური ნაკადების განსაზღვრისას თანხის მოცულობისა და ვადების განსაზღვრისას გამოყენებული მეთოდოლოგია და ვარაუდი სისტემატიურად გადასინჯება ნებისმიერი სხვაობის გამორიცხვის მიზნით, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ზარალის ვარაუდა და ფაქტური ზარალის გამოცდილებას შორის. 5 პროცენტის მატება ან ნაკლებობა ფაქტური ზარალის გამოცდილებასა და ნაგარაუდევ ზარალს შორის გამოიწვევს დამატებით ან ნაკლებ ხარჯს სესხის ზარალის გაუფასურების კონტექსტში 8,313 ათასი ლარის ოდენობით (2009 წელს: 8,946 ათასი ლარი). გაუფასურების რეზერვი ცალკეული მნიშვნელოვანი სესხების მიმართებით ეფუძნება დისკონტრირებული სამომავლო ფინანსური ნაკადების ვარაუდს ცალკეული სესხების მიმართებით და გადახდების, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გათვალისწინებით.

3 კრიტიკული საბუღალტრო აღრიცხვის ვარაუდები და საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების მართებულობა (გაგრძ.)

ცალკეული მნიშვნელოვანი სესხებიდან ფაქტიური, სამომავლოდ დისკონტირებული ფინანსური ნაკადების 5 პროცენტის მატება ან კლება, რაც შეიძლება წარმოიქმნას ოდენობებსა და ვადებზე სხვაობების ერთობლიობიდან გამოიწვევს დამატებით ან ნაკლებ ხარჯს სესხის ზარალის დარეზერვების სახით 4,272 ათასი ლარის ოდენობით (2009 წელი: 5,460 ათასი ლარი).

ფინანსური იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ხელმძღვანელი რგოლის გადაწყვეტილებით განისაზღვრება რამდენად მნიშვნელოვნად გადადის პარნიორებზე ფინანსური და საიჯარო აქტივების ფლობიდან წარმოქმნილი ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი. ეს განსაკუთრებით შეეხება იმის განსაზღვრას თუ კონკრეტულად რომელი რისკი და სარგებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რა წარმოადგენს მნიშვნელოვნად ყველა რისკსა და სარგებელს.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გამოცხადება. ჯგუფის ფლობილი საინვესტიციო ქონება ტარდება ხარჯებით, თუმცა, საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის მე-40 სტანდარტის მოთხოვნების თანახმად ჯგუფი ასევე აქვეყნებს საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ჯგუფი იყენებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას უმრავი ქონების შესახებ მედია საშუალებებში გაცხადებულ ტენდენციებს, აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშებს, მსგავსი აქტივის შეფასების შესახებ არსებულ ინფორმაციას და ზოგად ცოდნას ჯგუფის მიერ შეფასების კონტექსტში.

ვარაუდი რეზერვის მოცულობის განსაზღვრის თაობაზე. ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა ზარალის პოტენციურ შესაძლებლობას სამიანობის ჩვეული რიტმიდან გამომდინარე. ჯგუფი ითვალისწინებს ზარალის ან ვალდებულების წარმოქმნის ალბათობას და მის შესაძლებლობებს ზარალის სავარაუდო მოცულობის განსაზღვრის თაობაზე ხსენებული პოტენციური ზარალის შემთხვევაში. ეს სავარაუდო პოტენციური ზარალის რეზერვი ერიცხება როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულება წარმოიქმნა და ზარალის მოცულობა შეიძლება გონივრულად განისაზღვროს. ჯგუფი სისტემატიურად აფასებს მის ხელთ არსებულ მიმდინარე ინფორმაციას ხსენებული დარიცხვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საგადასახადო დავები. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციით წაკითხვის საშუალებას იძლევა. იხილეთ წინამდებარე დოკუმენტის 35-ე შენიშვნა.

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების საწყისი აღიარება. საქმიანობის ჩვეულ რიტმში ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. 39-ე საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტის მოთხოვნაა ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მოხდეს მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. განსჯა შეეფარდება იმას თუ რამდენად არის რაიმე კონკრეტული ოპერაცია შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით და იმას თუ რამდენად არსებობს ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. განსჯის საგანია მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასების დადგენა დაუკავშირებელ მხარეებს შორის და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანალიზება. ხელმძღვანელი რგოლის გადაწყვეტილებით 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობდა სესხი ან ავანსი რომლებსაც საბაზროს გარდა რაიმე სხვა რეჟიმში ყოფილიყო ჩაყენებული. დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ბალანსის პირობები წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის 37-ე შენიშვნაში.

პრესტიჟი. პრესტიჟის ამოღებადი თანხა განისაზღვრა გამოყენებული გამოთვლების საფუძველზე. იხილეთ წინამდებარე დოკუმენტის მე-16 შენიშვნა.

4 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციის მიღება

(a) 2010 წლის 1 იანვრიდან წლიურ პერიოდებზე ამოქმედებული სტანდარტები

გაახლებთ ახალ სტანდარტებს და ინტერპრეტაციას, რომელიც ჯგუფისთვის 2010 წლის 1 იანვარს ამოქმედდება:

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-17 ინტერპრეტაცია: არაფულადი აქტივის განაწილება მფლობელებზე (მოქმედებს 2009 წლის 1 ივლისიდან წლიურ პერიოდებზე). ინტერპრეტაცია განმარტავს როდესა და როგორ უნდა მოხდეს არაფულადი აქტივების მფლობელებზე დივიდენდების სახით განაწილების აღიარება. პირმა უნდა შეაფასოს არაფულადი აქტივების მფლობელებზე დივიდენდების სახით განაწილების ვალდებულება ამავე გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით. განაწილებული არაფულადი აქტივების გასხვებისგან წარმოქმნილი სარგებელი ან ზარალი აღიარებული უნდა იქნეს მოგებაში ან ზარალში როდესაც პირი ახდენს გადასახდელი დივიდენდის პირობის დაკმაყოფილებას. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-17 ინტერპრეტაციას არ ჰქონია გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-18 ინტერპრეტაცია: კლიენტებიდან აქტივების გადაცემა (მოქმედებს 2009 წლის 1 ივლისიდან წლიურ პერიოდებზე). ინტერპრეტაცია განმარტავს საბუღალტრო აღრიცხვას კლიენტებზე აქტივების გადაცემაზე. სახელდობრ, განმარტებულია გარემოებები, რომლებშიც ხდება აქტივის განმარტების დაკმაყოფილება; აქტივის აღიარება და მისი ხარჯების შეფასება საწყისი აღიარებით; ცალკე გამოვლენადი მომსახურების გამოვლენა (ერთი ან მეტი მომსახურება გადაცემული აქტივის სანაცვლოდ); შემოსავლების აღიარება და კლიენტებიდან ფულის გადაარიცხვის საბუღალტრო აღრიცხვა. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-18 ინტერპრეტაციას არ ჰქონია გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციის მიღება (გაგრძ.)

საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 27-ე სტანდარტი, კონსოლიდებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება (გადასინჯა 2008 წლის იანვარში, ამოქმედდა 2009 წლის 1 ივლისიდან წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 27-ე სტანდარტის მოთხოვნა პირმა მფლობელებს მიაკუთვნოს სრული და ყოვლისმომცველი შემოსავლები მშობელ კომპანიაში და არასაკონტროლო ინტერესი (ადრე „მინორიტარული ინტერესი“) მაშინაც კი, როდესაც ეს გამოიწვევს არასაკონტროლო ინტერესის დეფიციტურ ბალანსს (ადრინდელი სტანდარტი ითხოვდა უმეტეს შემთხვევებში ჭარბი ზარალის გადაცემას მშობელი კომპანიის მფლობელებზე).

გადასინჯული სტანდარტი აკონკრეტებს, რომ მშობელი კომპანიის ფლობის ინტერესის ცვლილება დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას უნდა გატარდეს კაპიტალის ოპერაციების სახით. ის ასევე აკონკრეტებს თუ როგორ უნდა გაიზომოს პირმა მფლობელი საარგებელი ან ზარალი, რომელიც დაქვემდებარებული პირის კონტროლის დაკარგვიდან გამომდინარეობს. კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიცია ყოფილ დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში უნდა გაიზომოს მისი სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფს 2010 წლის 1 იანვრიდან შეცვლილი აქვს კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა.

ადრე, როდესაც ჯგუფმა შეწყვიტა კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის განხორციელება პირზე, ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენისთვის თარიღისთვის გახდა მისი ღირებულება გაუნაწილებელი ინტერესების, ერთობლივად გაკონტროლებული პირის ან ფინანსური აქტივების შემდგომი საბუღალტრო აღრიცხვის მიზნებისთვის. ჯგუფმა პერსპექტიულად გამოიყენა ახალი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ განხორციელებულ ოპერაციებზე. ხსენებულის შედეგად, ადრე ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება არ გამხდარა საჭირო.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-3 სტანდარტი, ბიზნესის კომბინაციები (გადასინჯული იყო 2008 წელს; ამოქმედდა ბიზნესის კომბინაციებისთვის, რომელთა შემენის თარიღი 2009 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდში ხვდება და პირველ წლიურ საანგაროშო პერიოდს წარმოადგენს). გადასინჯული მე-3 სტანდარტი პირებს აძლევს საშუალებას აირჩიონ არასაკონტროლო ინტერესის შეფასების წინამორბედი მე-3 მეთოდის გამოყენებით (შემენილი კომპანიის გამოვლენილი წმინდა აქტივების პროპორციული წილი) ან სამართლიანი ღირებულებით. გადასინჯული მე-3 სტანდარტი უფრო დეტალურია მითითებებში და უფრო სიღრმისეულად განმარტავს ბიზნეს კომბინაციებზე შემენის მეთოდის გამოყენებას. მოხსნილია ყოველი აქტივის და ვალდებულების ყოველ ნაბიჯზე ეტაპობრივი შემენისას სამართლიანი ღირებულებით შეფასების მოთხოვნა პრესტიჟის ნაწილის გამოთვლის მიზნებისთვის. ხსენებულის ნაცვლად, ეტაპობრივად მიღწეული ბიზნესის კომბინაციისთვის შემსყიდველმა ხელახლა უნდა შეაფასოს შემენილი კომპანიის კაპიტალში მისი ადრე ფლობილი ინტერესი შემენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით და მოხდეს შედგობრივი სარგებლის ან ზარალის აღიარება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წლის მოგებაში ან ზარალში. შემენისთან დაკავშირებული ხარჯები ტარდება ბიზნეს კომბინაციიდან ცალკე და ამიტომ ხარჯებად უფროა აღიარებული ვიდრე პრესტიჟში გათვალისწინებული. შემენმა უნდა აღიაროს ნებისმიერი სარეზერვო შემენის ვალდებულება შემენის დღეს. შემენის თარიღის შემდეგ ხსენებული ვალდებულების ღირებულებაში ცვლილებები აღიარებულია შესაბამისი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად და არა პრესტიჟის კორექტირებით. გადასინჯული მე-3 სტანდარტი აქცენტს აკეთებს მხოლოდ საერთო პირების ბიზნეს და მხოლოდ კონტრაქტით წარმოქმნილ ბიზნესის კომბინაციებზე. გადასინჯულ მე-3 სტანდარტს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ფულით გასწორებული და აქციებზე დაფუძნებული საანგარიშსწორება ოპერაციები – ცვლილებები საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-2 სტანდარტში, აქციებზე დაფუძნებული საანგარიშსწორება (გააქტიურდა 2010 წლის 1 იანვარს წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები უზრუნველყოფენ აშკარად გამოკვეთილ საფუძველს აქციებზე დაფუძნებული საანგარიშსწორების კლასიფიკაციის განსაზღვრისთვის როგორც კონსოლიდირებულ ასევე ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში. ცვლილებები შეეხება სტანდარტული სახელმძღვანელოს მე-8 და მე-11 სტანდარტებს, რომლებიც ამოღებულია. ცვლილებები სახელმძღვანელოს სცილდება მე-11 სტანდარტში მოყვანილი მითითების საფუძველზე, რაც ადრე არ იყო ინტერპრეტაციაში გათვალისწინებული. შესწორება ასევე განმარტავს განსაზღვრულ ტერმინებს სტანდარტის დანართებში. შესწორებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საკვალიფიკაციო ჰეჯირების მუხლები – საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 39-ე სტანდარტის შესწორება, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება (ამოქმედებულია და რეტროაქტიული მოქმედების მქონეა 2009 წლის 1 ივლისიდან წლიურ პერიოდებზე). შესწორება განმარტავს პრინციპებს ჰეჯირებული რისკის ან ფინანსური ნაკადების ნაწილის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებისთვის. შესწორებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველი სტანდარტი, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველადი მიღება (2008 წლის დეკემბერში შესწორებების შემდეგ ამოქმედებულია 2009 წლის 1 ივლისის შემდეგ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით შედგენილი პირველი ანგარიშგებისთვის). გადასინჯული პირველი სტანდარტი ინარჩუნებს მისი წინამორბედი ვერსიის არსს, თუმცა სტრუქტურა შეცვლილი აქვს იმისათვის, რომ მკითხველისთვის უფრო იოლი გახდეს მისი გაგება და უკეთ დალაგდეს სამომავლო ცვლილებები. გადასინჯულ სტანდარტს არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციის მიღება (გაგრძ.)

დამატებითი გამონაკლისები პირველადი მიმღებთათვის – საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველი სტანდარტის შესწორებები, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი მიღება (ამოქმედდა 2010 წლის 1 იანვარს წლიური პერიოდებისთვის). შესწორება სრული ხარჯების მეთოდის გამოყენებულ პირებს ათავსებულს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რეტროაქტიული გამოყენებიდან ნაეთობისა და გაზის აქტივებზე და ასევე ათავსებულს არსებული სალიზინგო კონტრაქტების მქონე პირებს მე-4 ინტერპრეტაციის („იმის დადგენა თუ რამდენად მოიცავს გარემოება ლიზინგს“) თანახმად ხსენებული კონტრაქტების ხელახალი კლასიფიკაციისგან, როდესაც იგივე შედეგები დგება ეროვნული საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებიდან. ცვლილებებს არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გაუმჯობესება (გამოიცა 2009 წლის აპრილში; შესწორებები შევიდა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-2 სტანდარტს, საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 38-ე სტანდარტი, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-9 და მე-16 ინტერპრეტაცია გააქტიურებულია წლიური პერიოდებისთვის 2009 წლის 1 იანვრიდან; ცვლილებები საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-5 სტანდარტში, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-8 სტანდარტი, საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის პირველი, მე-7, მე-17, 36-ე და 39-ე სტანდარტები ამოქმედებულია წლიური პერიოდებისთვის 2010 წლის 1 იანვრიდან). გაუმჯობესება მოიცავს არსებითი ცვლილებების ნარეგს შემდეგი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიმართ: განმარტება მასზედ, რომ ზიზნესის წვლილი საერთო კონტროლის ოპერაციებზე და ერთობლივი საწარმოების შექმნაზე არ მოიაზრება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-2 სტანდარტში; განმარტება მასზედ, რომ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-5 და არამიმდინარე აქტივების (ან გასხვისების ჯგუფების) სხვა სტანდარტებში ჩამოყალიბებული საჯაროობის მოთხოვნები კლასიფიცირდება სარეალისტური საბუღალტრო ოპერაციების სახით; ვალდებულება სრული აქტივების და ვალდებულებების შეფასების ანგარიშგებაზე ყოველ საანგარიშგებო სემესტრში საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-8 სტანდარტის კონტექსტში მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ოდენობები სისტემატიურადაა უზრუნველყოფილი მთავარი აღმასრულებელი გადაწყვეტილების მიმღების მიერ; შესწორებები საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის პირველ სტანდარტში გარკვეული ვალდებულებების კლასიფიკაციის დაკმაყოფილების თაობაზე პირის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით არამიმდინარეს სტატუსით; საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის მე-7 სტანდარტის ცვლილება იმგვარად, რომ მხოლოდ აღიარებული აქტივებისგან გამოიმდინარე ხარჯებია საინვესტიციო საქმიანობად კლასიფიკაციის პირობის დამაკმაყოფილებელი; საშუალებას იძლევა გარკვეული გრძელვადიანი მიწის იჯარის კლასიფიკაციაზე ფინანსური იჯარის სახით საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის მე-17 სტანდარტის ფარგლებში მიწაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ მფლობელობის გადაცემის გარეშე; დამატებითი მითითებების უზრუნველყოფა საბუღალტრო აღრიცხვის მე-18 სტანდარტში იმის განსაზღვრებისთვის თუ რამდენად მოქმედებს პირი ძირითადი პირის თუ აგენტის სტატუსით; განმარტება საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 36-ე სტანდარტში მასზედ, რომ ფულის მომტანი ერთეული არ უნდა იყოს იმაზე დიდი ვიდრე გაერთიანებამდე საოპერაციო სემესტრი; დამატება საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 38-ე სტანდარტზე ზიზნესის კომბინაციაში შემენილი არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების თაობაზე; შესწორებები საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 39-ე სტანდარტში (ა) მის ფარგლებში მოიცავს ოფიციონის კონტრაქტები, რომლებიც შეიძლება ზიზნესის კომბინაციები იქონიოს შედეგად, (ბ) სარგებლის ან ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის პერიოდის განმარტება ფინანსური ნაკადების ჰეჯირების ინსტრუმენტებზე კაპიტალიდან წლის მოგებასა და ზარალში, (გ) იმის მტკიცება, რომ წინმსწრები გადახდის ოფიციები მჭიდროდაა დაკავშირებული მთავარ კონტრაქტთან თუ გამოყენებისას მსესხებელი კრედიტორის ეკონომიკურ ზარალს ანაზღაურებს; საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-9 ინტერპრეტაცია, რომელიც აცხადებს, რომ კონტრაქტში გაწერილი და საერთო კონტროლის ოპერაციების ფარგლებში შეძენილი დერივატივები და ერთობლივი საწარმოების შექმნა არ არის მის ფარგლებში; საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-16 ინტერპრეტაციის შეზღუდვის მოხსნა, რომელიც გულისხმობდა, რომ ჰეჯირებული ინსტრუმენტების ფლობა დაუშვებელია უცხოური ოპერაციით, რომელიც თავად არის ჰეჯირებული. ამასთანავე, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-5 სტანდარტის ფარგლებში რეალიზაციისთვის ფლობილი კლასიფიკაციის განმარტება დაქვემდებარებულ ორგანიზაციაზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევებზე ქვეყნდება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების წლიური გაუმჯობესების ნაწილად, რაც 2008 წლის მაისში გამოიცა და 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებულია წლიური პერიოდებისთვის. ხსენებულ შესწორებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული, ცვლილებებს და ინტერპრეტაციას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 ახალი საბუღალტრო აღრიცხვის მტკიცებულებები

გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციის სერია გამოიცა. ისინი სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის 2011 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფს ისინი ადრე არ მიუღია.

უფლებრივი საკითხების განმარტება - საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 32-ე სტანდარტის შესწორება (გამოიცა 2009 წლის 8 ოქტომბერს; ამოქმედდა 2010 წლის 1 თებერვლიდან წლიურ პერიოდებზე). შესწორება ათავსებულს გარკვეული უფლებების გაცემას აქციებზე, რომელთა სავალტუო შემოსავლები დომინირებს კლასიფიკაციიდან ფინანსური დერივატივების სახით. ჯგუფი არ ელის, რომ ამ ცვლილებებმა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 24-ე სტანდარტში, დაკავშირებული მხარების საჯაროობა (გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და გააქტიურებულია 2011 წლის 1 იანვრიდან წლიურ პერიოდებზე). საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 24-ე სტანდარტი გადასინჯა 2009 წელს: (ა) დაკავშირებული მხარის განმარტების გამარტივებით, მისი გამიზნული მნიშვნელობის განმარტებით და შეუსაბამობების გამორიცხვით; (ბ) სამთავრობო ორგანიზაციებზე საჯაროობის მოთხოვნის ნაწილობრივი გათავისუფლებით. ჯგუფი არ ელის რომ ხსენებულ შესწორებებს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 ახალი საბუღალტრო აღრიცხვის მტკიცებულებები (გაგრძ.)

საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-19 ინტერპრეტაცია, ფინანსური ვალდებულებების გამორიცხვა კაპიტალის ინსტრუმენტებით (ამოქმედდა წლიური პერიოდებისთვის 2010 წლის 1 ივლისიდან). საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციის კომიტეტის ეს ინტერპრეტაცია განმარტავს საბუღალტრო აღრიცხვას როდესაც პირი ახდენს ხელახალ მოლაპარაკებას მისი ვალის პირობებზე იმ შედეგით, რომ ვალდებულება გამოირიცხება დებიტორის მიერ კრედიტორისადმი მისი კაპიტალის ინსტრუმენტების გაცემით. სარგებელი ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში კაპიტალის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით ვალის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. ჯგუფი არ ელის, რომ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-19 ინტერპრეტაცია რაიმე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის წინმსწრები გადახდები – საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-14 ინტერპრეტაციის შესწორება (გააქტიურებულია წლიური პერიოდებისთვის 2011 წლის 1 იანვრიდან). ეს შესწორება იქონიებს მცირე გავლენას რადგან ის ეხება მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მინიმალური დაფინანსების შენატანი გააკეთონ განსაზღვრული სარგებლობის საკენსიო გეგმაში. ამით ხდება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-14 ინტერპრეტაციის დაუგეგმავი შედეგების გამორიცხვა, რაც ნებაყოფლობით საკენსიო წინმსწრებ გადახდებთანაა დაკავშირებული, როდესაც მინიმალური დაფინანსების მოტხოვნა არსებობს. ჯგუფი არ ელის რომ ეს შესწორებები რაიმე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-9 ინტერპრეტაცია, ფინანსური ინსტრუმენტები – პირველი ნაწილი: კლასიფიკაცია და შეფასება. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-9 სტანდარტი 2009 წლის ნოემბერში გამოიცა და ჩანაცვლა საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის 39-ე სტანდარტის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შეფასებას. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-9 სტანდარტი დამატებით კიდევ შესწორდა 2010 წლის ოქტომბერში ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების საკითხების დასარეგულირებლად. გაახლებთ სტანდარტის ძირითად მახასიათებლებს:

- ფინანსური აქტივების კლასიფიცირება უნდა განხორციელდეს ორ კატეგორიად: სამართლიანი ღირებულებით შესაფასებელი და ამორტიზებული ღირებულებით შესაფასებელი. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული საწყისი აღიარებისას. კლასიფიკაცია დამოკიდებულია პირის ბიზნესის მოდელზე, რომელიც გამოყენებული იქნება მისი ფინანსური ინსტრუმენტების და მათი საკონრაქტო ფინანსური ნაკადების მახასიათებლების სამართავად.
- ინსტრუმენტი საბოლოო ჯამში იზომება ამორტიზებული ხარჯით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არის ვალის ინსტრუმენტი და (ა) პირის ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივი იქტივის ფლობდეს საკონტრაქტო ფინანსური ნაკადების მისაღებად და (ბ) აქტივის საკონტრაქტო ფინანსური ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას (ესე იგი, მას მხოლოდ „ელემენტარული სესხის მახასიათებლები“ გააჩნია). ყველა სხვა ვალის ინსტრუმენტი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის ნაწილში.
- კაპიტალის ყველა ინსტრუმენტი უნდა შეფასდეს მათი სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის ინსტრუმენტები, რომლებიც ინახება რეალიზაციის მიზნით შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის ნაწილში. ყველა სხვა კაპიტალის ინსტრუმენტისთვის შეუცვლელი არჩევანი შეიძლება გაკეთდეს საწყისი აღიარებისას, არარეალიზებული და რეალიზებული სამართლიანი ღირებულებების სარგებლის და ზარალის აღიარების მიზნით სხვა სრულყოფილი შემოსავლების საშუალებით უფრო ვიდრე მოგების ან ზარალის ნაწილში. არ არსებობს სამართლიანი ღირებულების სარგებლის ან ზარალის დაგაყვანა მოგებაში ან ზარალში. ეს არჩევანი შეიძლება გაკეთდეს ინდივიდუალური ინსტრუმენტების საფუძველზე. დივიდენდები წარმოადგენილი უნდა იყოს მოგების ან ზარალის ნაწილში თუ ისინი ინვესტიციის ამონაგებს წარმოადგენენ.
- საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 39-ე სტანდარტის მოთხოვნების უმრავლესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის და შეფასებისთვის შეუცვლელად იყო გადმოტანილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-9 სტანდარტში შეუცვლელი სახით. ძირითადი ცვლილება ის არის, რომ პირს მოეთხოვება ცვლილებების ეფექტის წარდგენა სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულებების საკუთარ საკრედიტო რისკში სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლების მოგების ან ზარალის ნაწილში.

მაშინ როდესაც საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-9 სტანდარტი სავალდებულო გახდა 2013 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ადრინდელი პირობაც ძალაშია. ჯგუფი ითვალისწინებს სტანდარტის გარემოებებს, ჯგუფზე გავლენას და მისი მიღების დროულობას.

საჯაროობა — ფინანსური აქტივების გასხვისება – საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-7 სტანდარტის ცვლილებები (გამოიცა 2010 წლის ოქტომბერში ამოქმედდა 2011 წლის 1 ივლისიდან წლიურ პერიოდებზე). შესწორება მოითხოვს დამატებით საჯაროობას გასხვისებული ფინანსური აქტივებიდან წარმოქმნილი რისკის ფარქორებთან მიმართებით. შესწორება მოიცავს მოთხოვნას მასზე, რომ გამოქვეყნებული იყოს აქტივის კლასი და ბუნება, ასევე იმ ფინანსური აქტივების რისკების და სარგებლის საბალანსო ღირებულება და აღწერა, რომლებიც მეორე მხარეს გადაეცა მაინც რჩება პირის საბალანსო უწყისში. საჯაროობა ასევე საჭიროა იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაიგოს ნებისმიერი ასოცირებული ვალდებულების ოდენობა და ურთიერთობა ფინანსურ აქტივებსა და ასოცირებულ ვალდებულებებს შორის. თუ ფინანსური აქტივის აღიარება შეწყვეტილია, მაგრამ პირი მაინც იმყოფება გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებული გარკვეული რისკის და სარგებლის წინაშე, დამატებითი საჯაროობა საჭირო ამ რისკების ეფექტის გასაცნობიერებლად. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ შესწორებამ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 ახალი საბუღალტრო აღრიცხვის მტკიცებულებები (გაგრძ.)

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გაუმჯობესება (გამოცემულია 2010 წლის მაისში და ამოქმედებულია 2011 წლის 1 იანვრიდან). გაუმჯობესება მოიცავს არსებითი ცვლილებების და განმარტებების ერთობლიობას შემდეგი სტანდარტების და ინტერპრეტაციის მიმართ: საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველი სტანდარტი შესწორდა(ა) რათა შესაძლებელი გამხდარიყო აღრიცხული ზოგადად აღიარებული საბუღალტრო სტანდარტების საბალანსო ღირებულება გამოყენებულიყო ქონების, ქარხნის და აპარატურის ნაგულისხმევი ხარჯად ან არამატერიალურ აქტივად თუ ეს ნივთი გამოიყენებოდა საქმიანობაში განაკვეთის რეგულირების პირობით, (ბ) შესაძლებელი გამხდარიყო გარემოებით განპირობებული გადაფასება გამოყენებულიყო ქონების, ქარხნის და აპარატურის ნაგულისხმევი ხარჯის სახით მაშინაც კი, როდესაც გადაფასება მოხდებოდა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით პირველი ფინანსური ანგარიშგების პერიოდში, (გ) პირველადი მიმღებისთვის საჭირო გამხდარიყო საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველი სტანდარტის გამოაკლისში ცვლილებების განმარტებაზე მისი პირველი შუალედური ანგარიშისა და ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავებით; საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-3 სტანდარტი შესწორდა: (ა) რათა საჭირო განხდარიყო არაკონტროლირებადი ინტერესების სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვა შეფასების საფუძველია საჭირო საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სხვა სტანდარტების თანახმად), რომლებიც ამჟამად არ არმოადგენენ მფლობელობის ინტერესს და არც მფლობელს აძლევენ ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებას წმინდა აქტივების წილის პროპორციულაზაზე, (ბ) მითითებების უზრუნველსაყოფად შექმნილი პირის აქტივებზე დაფუძნებული გადახდების მექანიზმებზე, რაც არ გამოცვლილა ან ნებაყოფლობით გამოიცვალა ბიზნესის კომბინაციის შედეგად, (გ) იმ ბიზნესის კომბინაციების სარეზერვო დამკვეთების განსამარტებლად, რომლებიც გადასინჯული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-3 სტანდარტის ამოქმედების თარიღამდე განხორციელდა (გამოცემა 2008 წლის იანვარში) ბუღალტრულად ტარდება მე-3 სტანდარტის წინამორბედი ვერსიის მითითებების თანახმად; საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-7 სტანდარტი შესწორდა გარკვეულად საჯაროობის მოთხოვნების განსამარტებლად, სახელდობრ: (ა) ხარისხობრივ და რაოდენობრივ საჯაროობას შორის ურთიერთქმედებაზე გამოკვეთილი აქცენტების დამატებით ფინანსური რისკების ბუნების და მოცულობის თაობაზე, (ბ) ხელახლა მოლაპარაკებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების საჯაროობის მოთხოვნის მოცილებით, რაც სხვაგვარად ვადაფასული ან გაუფასურებული იქნებოდა, (გ) გირაოს სამართლიანი ღირებულების საჯაროობის მოთხოვნის შეცვლით უფრო ზოგადი მოთხოვნით მისი ფინანსური ეფექტის საჯაროობაზე, (დ) იმის განმარტებით, რომ პირმა უნდა გამოაქვეყნოს ჩამორთმეული გირაოს მოცულობაზე საანგარიშსწორებო პერიოდში და არა ის მოცულობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში იქნა მიღებული; საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 27-ე სტანდარტი შესწორდა ოპერაციის წესების განმარტებით შემდეგი მუხლების შესწორებისთვის: 21-ე, 28-ე და 31-ე შესწორებული 27-ე სტანდარტის შედეგად (შესწორებული იქნა 2008 წლის იანვარში); საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 34-ე სტანდარტი შესწორდა მნიშვნელოვანი გარემოებების და ოპერაციების დამატებითი მაგალითების დასამატებლად, რომლებიც საჯარო უნდა გახდეს შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში, მათ შორის სამართლიანი ღირებულებათა იერარქიის დონეებს შორის გადარიცხვებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებები, ასევე ბიზნესის ან ეკონომიკური გარემოს ცვლილებები, რასაც გავლენა აქვს პირის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებაზე; საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების და ინტერპრეტაციის კომიტეტის მე-13 ინტერპრეტაცია შესწორდა მინიჭებული კრედიტის სამართლიანი ღირებულების შეფასების განსამარტებლად. ჯგუფი არ ელის, რომ ამ შესწორებებმა შეიძლება რაიმე სახის მატერიალური გავლენა იქონიოს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი აქტივების ამოღება – საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის მე-12 სტანდარტის შესწორება (გამოცემა 2010 წლის დეკემბერში და ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან წლიური პერიოდებით). შესწორებამ დაწერა საკამათო მტკიცებულება მასზე, რომ საინვესტიციო ქონება ბალანსში სამართლიანი ღირებულებით გატარებული სრულად აღდგენადია რეალიზაციის გზით. ეს მტკიცებულება საკამათოა თუ საინვესტიციო ქონება იმყოფება ფლობაში ისეთ ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანია მოხმარებული იყოს მნიშვნელოვნად ვეღა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საინვესტიციო ქონებაშია ასახული დროთა განმავლობაში, ვიდრე მისი რეალიზაციის გზით. 21-ე სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია, სამშენსავლო გადასახადი – გადაფასებული არა-ამორტიზებული აქტივების ამოღება, რომელიც ეხება მსგავს საკითხებს და გულისხმობს არამორტიზებულ აქტივებს, რომლებიც ფასდება საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის მე-16 სტანდარტის (ქონება, ქარხანა და აპარატურა) გადაფასების მოდელის გამოყენებით, გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის მე-12 სტანდარტში მისი მასშტაბებიდან სამართლიანი ღირებულებით საინვესტიციო ქონების ამოცებით. ჯგუფი არ ელის, რომ ამ ცვლილებებმა შეიძლება რაიმე მატერიალური ეფექტი იქონიოს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძლიერი ჰიპერინფლაცია და ფიქსირებული ვადების ამოღება პირველადი მიმღების მიმართ – შესწორებები საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველი სტანდარტში 1 (გამოცემა 2010 წლის დეკემბერში და ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრის წლიური პერიოდებისთვის). შესწორებაძლიერი ჰიპერინფლაციის შესახებ ქმნის დამატებით გათავისუფლების პირობას, როდესაც ძლიერი ჰიპერინფლაციის ქვეშ მომხდარი პირი აგრძელებს წარმოადგენს ან პირველად წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების თანახმად. გათავისუფლება იძლევა იმის საშუალებას, რომ პირმა აირჩიოს გარკვეული აქტივების და ვალდებულებების შეფასება სამართლიანი ღირებულებით და გამოიყენოს მათი სამართლიანი ღირებულება ნაგულისხმევი ხარჯის სახით ფინანსური პოზიციის გახსნისა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების თანახმად.

საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საბჭომაც შეიტანა შესწორებები საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების პირველი სტანდარტში ფიქსირებული ვადების ხსენების აღმოსაფხვრელად ერთი გამოაკლისის და ერთი გათავისუფლების მიმართებით – ორივე შეეხება ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს. პირველი ცვლილება მოითხოვს პირველადი მიმღებიდან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მოთხოვნების აღიარების შეწყვეტის გამოყენებას პროგრესულად გადასვლის თარიღიდან და არა 2004 წლის 1 იანვრიდან. მეორე შესწორება შეეხება ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს, სადაც სამართლიანი ღირებულება დგინდება შეფასების ტექნიკის საშუალებით საწყისი აღიარებისას და იძლევა მითითებების პროგრესულად გამოყენების საშუალებას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე გადასვლის მომენტიდან და არა 2002 წლის 25 დეკემბრიდან ან 2004 წლის 1 იანვრიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველად მიმღებებს შეიძლება არ დასჭირდეთ გარკვეული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა საწყისი აღიარებისას სტანდარტზე გადასვლამდე პერიოდებისთვის. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მე-9 სტანდარტი შეცვლილია ხსენებული ცვლილებების ასახვის მიზნით.

5 ახალი საბუღალტრო აღრიცხვის მტკიცებულებები (გაგრძ.)

ჯგუფი არ ელის, რომ ამ შესწორებებს რაიმე გავლენა ჰქონდეს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ ტექსტში, არ არის მოსალოდნელი ახალმა სტანდარტებმა და ინტერპრეტაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ფული და მისი ექვივალენტი

ათასობით ლარში	2010	2009
ფული მიმოქცევაში	95,138	83,793
ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში (სავალდებულო რეზერვების დეპოზიტების გარდა)	22,163	51,122
საკორესპონდენტო ანგარიშები და სხვა ბანკებში ერთ დღიანი განთავსებები	123,516	122,587
განთავსებები სხვა ბანკებში სამთვემდე თავდაპირველი ვადიანობით	34,608	75,346
სულ ფული და მისი ექვივალენტი	275,425	332,848

ფულის და მისი ექვივალენტის საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 33. დაკავშირებულ მხარეთა ნაშთებზე ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 39.

საკორესპონდენტო ანგარიშების საკრედიტო რეიტინგი და ერთ დღიანი განთავსებები სხვა ბანკებში შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	2010	2009
AA	203	3,144
AA-	14,984	7,582
A+	101,778	96,163
A	10	14,325
A-	596	505
BBB+	130	-
BBB-	53	-
ურეიტინგო	5,762	868
სულ	123,516	122,587

სხვა ბანკებში განთავსებების საკრედიტო რეიტინგი სამ თვემდე თავდაპირველი ვადიანობით შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	2009	2009
A+	-	24,195
A	-	24,195
BBB	-	5,057
B-	-	4,935
ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში მისი ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კრედიტის გაცემაზე გარანტიისა და ვალდებულების აღებისთვის მაქსიმალური საკრედიტო რისკის მოცულობა თავად ვალდებულების მოცულობაა. იხილეთ შენიშვნა 35.

ჯგუფი ახარისხებს მის მიერ ნაკისრი საკრედიტო რისკის დონეებს ლიმიტების მინიჭებით ერთი მსესხებლის, მსესხებელთა ჯგუფის, გეოგრაფიული და დარგობრივი სეგმენტების შემთხვევაში. საკრედიტო რისკის დონეების ზღვრული ნორმები საბანკო პროდუქტის და დარგის მიხედვით სისტემატიურად მტკიცდება ხელმძღვანელი რგოლის მიერ. მონიტორინგი ამ რისკებზე ხორციელდება წარმოქმნის საფუძველზე და ექვემდებარება წლიურ და უფრო ხშირ გადახედვას.

ჯგუფს გააჩნია რამოდენიმე საკრედიტო კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ცალკეული მსესხებლების საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრაზე:

- ზედა ხელმძღვანელი რგოლის საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს კორპორატიული სექტორისთვის 2,000 ათასი ლარის ზემოთ. კომიტეტის სხდომები იმართება ყოველდღიურად.

- ქვედა რგოლის საკრედიტო კომიტეტიც ყოველდღიურად იკრიბება. ის განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს:
 - ✓ კორპორატიული სექტორისთვის 2,000 ათასი ლარის ქვემოთ,
 - ✓ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სექტორისთვის 1,500 ათასი ლარის ზემოთ, ან მომატებული რისკის მქონე კლიენტებისთვის 500 ათასი ლარის ზემოთ
 - ✓ საცალო სექტორისთვის, 500 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტის ზემოთ ან მომატებული რისკის მქონე კლიენტებისთვის 200 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტის ზემოთ.
- მცირე და მცირე საწარმოებისთვის საკრედიტო კომიტეტები განიხილავენ და ამტკიცებენ საკრედიტო ლიმიტებს 1,500 ათასი ლარის ქვემოთ. კომიტეტი ყოველდღიურად იკრიბება;
- საცალო საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს საცალო სექტორთან დაკავშირებულ კრედიტებს 500 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტის ქვემოთ. კომიტეტი ყოველდღიურად იკრიბება.

საკრედიტო განაცხადის ფორმები ივსება შესაბამისი კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერებთან. შემდეგ ეს ფორმები გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს ლიმიტის დასამტკიცებლად. საკრედიტო რისკი ექვევს მართვის ქვეშ ნაწილობრივ გირაოს და კორპორატიული ან პირადი თავდებობების მოთხოვნით.

საკრედიტო რისკის დაცვაზე მონიტორინგის განსახორციელებლად რეგულარული ანგარიშები იწერება საკრედიტო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე და კლიენტის ბიზნესის და ფინანსური საქმიანობის გათვალისწინებით. ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკი მისხვების კრედიტუნარიანობის გაუარესების სახით განსახილველად ეცნობება დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს.

ჯგუფის საკრედიტო დეპარტამენტი იხილავს ვადაგადაცილებული სესხების ანალიზს და ეცნობა ადრეულ ნაშთებს. ხელმძღვანელი რგოლი ითვალისწინებს დავალიანების ვადიანობის, საკრედიტო რისკის და სხვა სახის ინფორმაციის გაცნობის მართებულობას შენიშვნებში 8, 9, და 13 მითითებულის თანახმად.

საკრედიტო რისკი გარესაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განსაზღვრულია როგორც ზარალისადმი მდგრადობის შესაძლებლობა, რომელიც წარმოიქმნება ერთი მხარის მიერ მეორეს წინაშე ფინანსური ინსტრუმენტის პირობების შეუსრულებლობის და კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში. ჯგუფი იგივე საკრედიტო პოლიტიკას იყენებს პირობითი ვალდებულებების აღებისას, რომელიც საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არის დაწესებული კრედიტების დამტკიცების, რისკების კონტროლის ლიმიტების და მონიტორინგის პროცედურების სახით.

საბაზრო რისკი. ჯგუფი სიფრთხილით ეკიდება საბაზრო რისკისგან დაცვის საკითხს. საბაზრო რისკი წარმოიქმნება (ა) სავალუტო, (ბ) საპროცენტო განაკვეთის, (გ) კაპიტალის პროდუქტების ღია პოზიციებიდან. ყოველი მათგანი ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო რყევებს. ხელმძღვანელი რგოლი ლიმიტებს აწესებს მისაღები რისკის მოცულობაზე, რომელზეც მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი რგოლი აწესებს ლიმიტებს ვალუტის სახეობის, ერთ დღიან და დღის შიგნით პოზიციებზე. მონიტორინგი ამაზე ყოველდღიურად ხორციელდება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშო პერიოდში:

	2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ფულად-საკრედიტო ფინანსური აქტივი	ფულად-საკრედიტო ფინანსური ვალდებულება	დერივატივი ბი	წმინდა საბალანსო უწყისის პოზიცია	ფულად-საკრედიტო ფინანსური აქტივი	ფულად-საკრედიტო ფინანსური ვალდებულება	დერივატივი ბი	წმინდა საბალანსო უწყისის პოზიცია
<i>ათასობით ლარში</i>								
ლარი	562,357	467,570	364	95,151	356,070	290,798	(12,039)	53,233
აშშ დოლარი	1,214,034	1,187,328	(664)	26,042	949,985	926,366	12,099	35,718
ევრო	186,447	186,821	-	(374)	177,280	177,577	-	(297)
სხვა	27,507	14,634	-	12,873	15,404	3,276	-	12,128
სულ	1,990,345	1,856,353	(300)	133,692	1,498,739	1,398,017	60	100,782

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად-საკრედიტო აქტივებს და ვალდებულებებს. ინვესტიციები არა-ფულად-საკრედიტო აქტივებში არ ითვალისწინებს რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წარმოქმნას.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგება/ზარალის და კაპიტალის სენსიტიური სფეროები, რათა შესაძლებელი გახდეს გაცვლითი კურსის ცვლილებების გამოყენება საანგარიშო პერიოდში სხვა ცვალებადი მაჩვენებლების უცვლელობის პირობებში.

	2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
<i>ათასობით ლარში</i>	<i>გადასახადებამდე</i>		<i>გადასახადებამდე</i>	
აშშ დოლარის 10 პროცენტისანი გაძლიერება	2,604	2,213	(3,571)	(3,035)
აშშ დოლარის 10 პროცენტისანი დასუსტება	(2,604)	(2,213)	3,571	3,035
ევროს 10 პროცენტისანი გაძლიერება	(37)	(32)	(29)	(25)
ევროს 10 პროცენტისანი დასუსტება	37	32	29	25
სხვა ვალუტის 10 პროცენტისანი გაძლიერება	1,287	1,094	(1,219)	(1,036)
სხვა ვალუტის 10 პროცენტისანი დასუსტება	(1,287)	(1,094)	1,219	1,036

რისკის გავლენა გამომარინებელი იყო მხოლოდ ფულად-საკრედიტო ბალანსისთვის, რომელიც დომინანტი ვალუტა განსხვავებულია ჯგუფის შესაბამისი პირის ფუნქციონალური ვალუტისგან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი აკვირდება ბაზარზე დომინანტი საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ეფექტს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფინანსურ ნაკადებზე. საპროცენტო განაკვეთის მართვა შეიძლება გაიზარდოს ამ ცვლილებების კვალობაზე, მაგრამ ამან შეიძლება შეამციროს ან წარმოქმნას ზარალი იმ შემთხვევაში თუ მოულოდნელი გარემოებები წარმოიქმნება. ხელმძღვანელი რგოლი ყოველთვის ურად ახორციელებს მონიტორინგს და განსახორციელებლად აწესებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შესაბამისობის დონეებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი იმართება ზღვრული სისტემით, რომელიც ჯგუფის სტანდარტებით არის განსაზღვრული. საპროცენტო განაკვეთის რისკი კონტროლდება მოდიფიცირებული საპროცენტო განაკვეთის გეგმის ანგარიშებით. სცენარების ანალიზი ტარდება კვარტალურად იმისათვის, რომ განაწილდეს შემოსავლები და ეკონომიკური მნიშვნელობის სენსიტიურობა, ხოლო აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ დაწესებული ლიმიტები დაექვემდებაროს მონიტორინგს. საპროცენტო განაკვეთის გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტები მოიცავენ საპროცენტო განაკვეთის ჭერის ოფციას მცოცავი განაკვეთით მოზიდულ სახსრებზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილით ჯამდება ჯგუფის დაცულობა საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცვრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ნაერთ მოცულობებს საბალანსო ღირებულებით, რომელიც კატეგორიებად არის დაყოფილი ადრეული საკონტრაქტო საპროცენტო გადაფასებით ან ვადიანობის პერიოდებით.

<i>ათასობით ლარში</i>	მოთხოვნა და 1 თვემდე	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	ჯამი
2010 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	639,997	316,693	202,493	831,162	1,990,345
სულ ფინანსური ვალდებულებები	937,664	276,675	259,996	382,018	1,856,353
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის გეპი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(297,667)	40,018	(57,503)	449,144	133,992
2009 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	480,958	311,212	154,944	551,625	1,498,739
სულ ფინანსური ვალდებულებები	613,816	218,700	233,863	331,638	1,398,017
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის გეპი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(132,858)	92,512	(78,919)	219,987	100,722

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო განაკვეთი რომ ყოფილიყო 200 საბაზისო პუნქტით ნაკლები, ხოლო ყველა სხვა ცვალებადი მაჩვენებელი – უცვლელი, წლის მოგება 7,090 ათასი ლარით (2009 წელს: 3,301 ათასი ლარი იყო) მეტი იქნებოდა, ძირითადად ცვალებად საპროცენტო ვალდებულებებზე დაბალი საპროცენტო ხარჯის გამო.

საპროცენტო განაკვეთები რომ ყოფილიყო 200 საბაზისო პუნქტით მეტი, ხოლო ყველა სხვა ცვალებადი მაჩვენებელი – უცვლელი, მოგება იქნებოდა 7,090 ათასი ლარით (2009 წელს: 3,301 ათასი ლარი იყო) ნაკლები, ძირითადად ცვალებად საპროცენტო ვალდებულებებზე მაღალი საპროცენტო ხარჯების გამო.

ჯგუფი აკვირდება მის ფინანსურ ინსტრუმენტებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს. ქვემოთმოყვანილი ცხრილი წარმოგიდგინთ საპროცენტო განაკვეთების შეჯამებას ხელმძღვანელი რგოლის მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე:

წლიური, %	2010				2009			
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა
აქტივები								
ფული და მისი ექვივალენტი	2%	1%	1%	2%	1%	3%	-	2%
სხვა ბანკებისგან მისაღები თანხები	-	-	5%	-	-	2%	2%	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	22%	15%	14%	13%	24%	17%	16%	12%
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	13%	-	-	-	4%	-	-	-
ვალდებულებები								
სხვა ბანკების მიმართ	8%	1%	2%	-	4%	4%	1%	-
კლიენტების ანგარიშები								
- მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშები	7%	5%	5%	5%	4%	6%	5%	2%
- ვადიანი ანაზრები	11%	9%	10%	10%	11%	11%	11%	11%
სხვა ნასესხები თანხები	8%	5%	3%	-	6%	5%	-	-
დაქვემდებარებული სესხი	-	10%	-	-	-	10%	-	-

ნიშანი "-" ამ ზედა ცხრილში მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფს არ გააჩნია შესაბამისი აქტივი ან ვალდებულება ამ კონკრეტულ ვალუტაში.

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია. ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილ ცხრილში:

ათასობით ლარში	საქართველო	ეკონომიკური	ეკონომიკური	ჯამი
		თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები	თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის არაწევრი ქვეყნები	
აქტივები				
ფული და მისი ექვივალენტი	147,513	119,941	7,971	275,425
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	59,471	1,153	14,112	74,736
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,347,189	-	33,766	1,380,955
სარეალიზაციოდ გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	216,323	-	-	216,323
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	28,986	-	-	28,986
ინვესტიციები იჯარაში	9,681	-	-	9,681
სხვა ფინანსური აქტივები	4,239	-	-	4,239
სულ ფინანსური აქტივები	1,813,402	121,094	55,849	1,990,345
არაფინანსური აქტივები	277,436	-	-	277,436
სულ აქტივები	2,090,838	121,094	55,849	2,267,781
ვალდებულებები				
სხვა ბანკებისადმი	45,410	-	2,352	47,762
კლიენტების ანგარიშები	1,365,352	-	-	1,365,352
სხვა ნასესხები თანხები	127,436	151,216	2,254	280,906
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,932	-	-	3,932
დაქვემდებარებული სესხი	-	158,401	-	158,401
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,542,130	309,617	4,606	1,856,353
არაფინანსური ვალდებულებები	34,150	-	-	34,150
სულ ვალდებულებები	1,576,280	309,617	4,606	1,890,503
წმინდა საბალანსო უწყისის პოზიცია	514,558	(188,523)	51,243	
კრედიტებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებები	99,528	-	-	99,528

აქტივები, ვალდებულებები და კრედიტებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებები ზოგადად ეფუძნება იმ ქვეყანას, სადაც კონტრაგენტი მდებარეობს. საქართველოში მოქმედ კონტრაგენტებთან ნაშთები ფაქტიურად დავალიანებას ოფშორული კომპანიების მიმართ/გან მიეკუთვნება საქართველოს ქვეჯგუფს. ფული მიმოქცევაში, ობიექტები და აპარატურა მიეკუთვნება იმ ქვეყანას, სადაც ის ფიზიკურად ინახება.

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასობით ლარში	საქართველო	ეკონომიკური	ეკონომიკური	ჯამი
		თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები	თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის არაწევრი ქვეყნები	
აქტივები				
ფული და მისი ექვივალენტი	161,907	169,818	1,123	332,848
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	36,655	594	-	37,249
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	988,428	-	-	988,428
სარეალიზაციოდ გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	3,619	-	-	3,619
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	115,496	-	-	115,496
ინვესტიციები იჯარაში	14,090	-	-	14,090
სხვა ფინანსური აქტივები	7,009	-	-	7,009
სულ ფინანსური აქტივები	1,327,204	170,412	1,123	1,498,739
არაფინანსური აქტივები	239,281	-	-	239,281
სულ აქტივები	1,566,485	170,412	1,123	1,738,020
ვალდებულებები				
სხვა ბანკების მიმართ	27,366	-	-	27,366
კლიენტების ანგარიშები	991,172	-	-	991,172
სხვა ნასესხები თანხები	88,855	129,981	4,565	223,401
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,725	-	-	5,725
დაქვემდებარებული სესხი	-	150,353	-	150,353
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,113,118	280,334	4,565	1,398,017
არაფინანსური ვალდებულებები	13,260	-	-	13,260
სულ ვალდებულებები	1,126,378	280,334	4,565	1,411,277
წმინდა საბალანსო უწყისის პოზიცია	440,107	(109,922)	(3,442)	
კრედიტებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებები	65,385	-	-	65,385

სხვა რისკის კონცენტრაცია. ხელმძღვანელი რგოლი აკვირდება და აქვეყნებს საკრედიტო რისკის კონცენტრაციებს მსესხებლების რისკების ანგარიშების შედგენით ნაერთი საკრედიტო მოცულობების მითითებით წმინდა აქტივების 10 პროცენტის ზემოთ.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის ის გარემოება, როდესაც პირი სირთულეებს აწყდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. ჯგუფი ყოველდღიურად ამოწმებს მის ხელთ არსებულ ფულად რესურსს ერთ დღიანი დეპოზიტების შემოსავლებიდან, მიმდინარე ანგარიშებიდან, შემდგარი ანაზრებისგან, ათვისებული სესხებიდან, გარანტიებიდან, მარჟებიდან და სხვა ფულადი დერივატიული ინსტრუმენტებიდან. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკი იმართება ფინანსური რისკის მართვის და ხაზინის დეპარტამენტების მიერ. მასზე მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის აქტივების/პასივების მართვის კომიტეტი.

ჯგუფის ლიკვიდურობის პოლიტიკის მთავარი მიზნებია:

- ფულადი რესურსის არსებობის უზრუნველყოფა მთლიანი ვალდებულებებიდან და გარესაბალანსო ნაკისრი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად – იქნება ეს ფაქტიური თუ სავარაუდო, ეკონომიურ ფასად,
- ჯგუფის ფინანსური პოზიციის განაცხადში არსებული სტრუქტურული შეუსაბამონის აღიარება და მონიტორინგის თანაფარდობის დაწესება დაფინანსების და დაბალანსებული ზრდის მართვის მიზნით,
- ხარისხობრივი და რაოდენობრივი მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების დაკმაყოფილება ლიკვიდურობის რისკის სამართავად.

ლიკვიდურობის რისკის სანდო მართვის მიზნებისთვის ჯგუფმა დანერგა ვადიანობის შეუსაბამობის მიდგომა და შეიმუშავა ლიკვიდურობის შეუსაბამობის მოდელი, რომელიც აკმაყოფილებს ბაზელის კომიტეტის ძირითად პრინციპებს ლიკვიდურობის რისკის გამართული მართვის თაობაზე (მე-5 პრინციპი). სტრუქტურა შექმნილია აქტივებიდან, ვალდებულებებიდან და გარესაბალანსო მუხლებიდან წარმოქმნილი ფინანსური ნაკადების სრულყოფილი პროგნოზირებისთვის დროის გარკვეულ პერიოდებში.

მოდელი მოითხოვს, რომ:

- გაანალიზდეს ფინანსური ნაკადების სხვადასხვა სათაურების ქვეშ და მათი განლაგება მოხდეს წინასწარ განსაზღვრულ დროის პერიოდებში ნარჩენი საკონტრაქტო ვადიანობის საფუძველზე,
- ქვევითი კორექტივების გაკეთება, დოკუმენტური დასაბუთების მიღება გარკვეული სახეობების ფინანსურ ნაკადებზე,
- დროის პერიოდების მიხედვით წმინდა შეუსაბამობების გამოთვლა მოხდეს ლიკვიდურობის მოცვის განაკვეთის დამტკიცებული დეფინიციით: საკვალიფიკაციო ლიკვიდური აქტივები + სულ შემოდინება/სულ გადინება,
- წმინდა ნაერთ საფუძველზე შეუსაბამობების დონის შეფასება,
- გონივრული ლიმიტების ფარგლებში მოხდეს წმინდა შეუსაბამობების დონის გაკონტროლება.

კრიტიკული ლიმიტებია დაწესებული შემდეგ პერიოდებზე: 0-8 დღე, 9-30 დღე და 30-60 დღე, შესაბამისი ლიკვიდურობის არეალის ლიმიტირებული განაკვეთებით – 150%, 120% და 100% შესაბამისად.

ლიკვიდურობის შეუსაბამობის მოდელის გამოყენებით გამოთვლილი ლიკვიდურობის შედეგები ექვემდებარება დამატებით ტესტირებას სტრესის გამძლეობაზე დიდი შოკური სცენარის გამოყენებით, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის განსაზღვრული. ლიკვიდურობის არეალის შიდა ლიმიტები სტრესულ პირობებში პირველი სამი პერიოდისთვის 100 პროცენტის ფარგლებშია.

ჯგუფი შიდა ლიკვიდურობის არეალის განაკვეთს ითვლის და სტრესზე გამძლეობის ტესტირებას ახდენს ყოველკვირეულად.

ლიკვიდურობის შეუსაბამობის მოდელის და სტრესზე გამძლეობის ტესტირების დამატებითი ზომის სახით ჯგუფმა დანერგა ლიკვიდურობის სავარაუდო გეგმა, რომელიც ჯგუფის გონივრული ლიკვიდურობის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია საერთო დაფინანსების და ლიკვიდურობის მოთხოვნები მუდამ დაკმაყოფილებული იყოს. ის შემუშავდა იმისათვის, რომ ჯგუფს შეენარჩუნებინა მისი ძირითადი ბიზნესი გაუარესებული ლიკვიდურობის პირობებშიც და ლიკვიდურობის კრიზისიდან გამოსულიყო სანდო და კრედიტუნარიანი ორგანიზაციის სახით.

ბანკი ყოველდღიურად ახდენს ლიკვიდურობის განაკვეთის გამოთვლას საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. განაკვეთი არის:

- საშუალო ლიკვიდურობის განაკვეთი (LK, არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები), რაც გამოითვლება საშუალო ლიკვიდური აქტივის განაკვეთის სახით საშუალო ლიკვიდური ვალდებულების მიმართებით შესაბამის თვეზე და მოიცავს ფინანსური ინსტიტუტიდან მოზიდულ დარჩენილი 6 თვემდე დარჩენილი ვადიანობით და გარესაბალანსო ვალდებულებით ასევე 6 თვემდე ვადით და მოთხოვნამდე, ეს განაკვეთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 32.77% (2009 წელს: 39.76%).

სახაზინო დეპარტამენტი ახდენს ფინანსური აქტივების და ვალდებულების ლიკვიდურობის პროფილის პროგნოზის განსაზღვრას საბალანსო უწყისის ფინანსური ნაკადების მოდელით, სადაც მაჩვენებლები წარმოდგენილია მთავარ საოპერაციო ვალუტაში და პროფიციტი ან დეფიციტი გამჭვირვალეა.

ყოველდღიური ფულადი ნაკადების პროგნოზის, ლიკვიდურობის კონტექსტში პროფიციტის მიხედვით სახაზინო დეპარტამენტი რესურსების განთავსებას ახდენს მოკლევადიან ლიკვიდურ აქტივებში, რაც მტყწილად შედეგა მოკლევადიანი არასარისკო ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკთაშორისო დეპოზიტებისგან და სხვა ბანკთაშორისო მექანიზმებისგან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საკმარისი ლიკვიდურობის არსებობა და შენარჩუნება მთლიანად ჯგუფის მასშტაბით.

ყოველდღიური ლიკვიდურობის პოზიცია იმართება საბალანსო უწყისის ფინანსური ნაკადების მოდელით, რომელიც არის აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი. აქტივების/ვალდებულებების მართვის კომიტეტი აწესებს ლიმიტებს ვადიანი რესურსების მინიმალურ ოდენობაზე დეპოზიტებში მათი განთავსების პირობის დასაკმაყოფილებლად და მინიმალურ დონეზე, ბანკთაშორის და რესურსების მოზიდვის სხვა პლატფორმებზე, რაც უნდა არსებობდეს მოულოდნელი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის მინიმალური ოდენობის ლიკვიდური აქტივი განისაზღვრება აქტივების და ვალდებულებებისთვის. იგივე შეეხება კონცენტრაციის ლიმიტებს, რომელიც აქტივების და ვალდებულებებისთვის წესდდება აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. მასზე კონტროლს ახორციელებს ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი.

ქვემოთმოყვანილ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არადისკონტირებულ დარცინილ საკონტრაქტო ვალდებულებებზე დაყრდნობით. შეტყობინებისას გადახდა ხორციელდება თითქოსდა სასწრაფო დაფარვის მოთხოვნა არსებობდეს. თუმცა, ჯგუფი ელის, რომ ბევრი კლიენტი არ მოახდენს უფრო ადრეულ ვადებში გადახდას და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფინანსურ ნაკადებს ჯგუფის ანაზღაურების დაყოვნების ისტორიაში მითითებულის მიხედვით.

ათასობით ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	ჯამი
ვალდებულებები						
სხვა ბანკების მიმართ	47,766	-	-	-	-	47,766
კლიენტების ანგარიშები – ფიზიკური პირები	390,097	107,024	300,893	64,096	7,182	869,292
კლიენტების ანგარიშები – სხვა	412,122	18,766	69,155	12,089	8,867	520,999
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,013	-	-	-	-	4,013
სხვა ნასესხები თანხები	84,418	2,236	44,914	93,584	64,185	289,337
დაქვემდებარებული სესხი	17	2,048	10,165	87,080	67,583	166,893
მთლიანი დაკმაყოფილებული ფორვარდული გარიგებები	356	-	-	-	-	356
ფინანსური გარიგებები	7,881	11,378	57,611	28,662	26,692	132,224
სხვა კრედიტებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები	99,528	-	-	-	-	99,528
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებების კონტექსტში	1,046,198	141,452	482,738	285,511	174,509	2,130,408

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასობით ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	ჯამი
ვალდებულებები						
სხვა ბანკების მიმართ	10,543	10,764	5,177	876	2,448	29,808
კლიენტების ანგარიშები – ფიზიკური პირები	294,468	88,491	108,230	165,123	29,811	686,123
კლიენტების ანგარიშები – სხვა	267,679	14,241	21,806	13,524	3,629	320,879
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,175	122	-	-	-	11,297
სხვა ნასესხები თანხები	12,112	3,239	66,204	174,645	8,145	264,345
დაქვემდებარებული სესხი	3,969	-	15,094	128,142	98,276	245,481
მთლიანი დაკმაყოფილებული ფორვარდული გარიგებები	971	17,555	-	-	-	18,526
ფინანსური გარიგებები	8,974	8,886	43,910	10,876	78	72,724
სხვა კრედიტებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები	65,385	-	-	-	-	65,385
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებების კონტექსტში	675,276	143,298	260,421	493,186	142,387	1,714,568

კლიენტების ანგარიშების კლასიფიკაცია ზემოთმოყვანილი ანალიზის ფარგლებში ეფუძნება საკონტრაქტო ვადიანობას. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოქალაქეს აქვს უფლება მისი კუთვნილი ანაზღაურების ვადიანობის დადგომამდე გამოიტანოს თუ დათმობენ დარიცხული პროცენტის მიღების უფლებას.

ჯგუფი არ იყენებს ზემოთმოყვანილ არადისკონტირებულ ვადიანობის ანალიზს ლიკვიდურობის სამართავად. ხსენებულის ნაცვლად, ჯგუფი აკვირდება მოსალოდნელ ვადიანობას, რომელიც შეიძლება 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე შეჯამდეს:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	ჯამი
<i>ათასობით ლარში</i>						
აქტივები						
ფული და მისი ექვივალენტი	271,879	3,546	-	-	-	275,425
სხვა ბანკებიდან მისახები თანხები	58,576	-	16,160	-	-	74,736
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	121,435	104,358	356,878	564,278	234,006	1,380,955
სარეალიზაციოდ განკუთვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	216,323	-	-	-	-	216,323
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	28,986	-	28,986
ფინანსური იჯარის დებიტორული მოვალეობა	685	944	3,527	4,525	-	9,681
სხვა ფინანსური აქტივები	4,239	-	-	-	-	4,239
სულ ფინანსური აქტივები	673,137	108,848	376,565	597,789	234,006	1,990,345
ვალდებულებები						
სხვა ბანკების მხრიდან	47,762	-	-	-	-	47,762
კლიენტების ანგარიშები	802,052	123,638	360,115	66,540	13,007	1,365,352
სხვა ნასესხები თანხები	83,833	2,203	41,564	89,963	63,343	280,906
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,932	-	-	-	-	3,932
დაქვემდებარებული სესხი	-	2,048	7,103	84,553	64,697	158,401
სულ ფინანსური ვალდებულებები	937,579	127,889	408,782	241,056	141,047	1,856,353
წმინდა ლიკვიდურობის გეპი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(264,442)	(19,041)	(32,217)	356,733	92,959	133,992

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულების ანალიზის გეპი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას ისტორიულად ჰქონია ადგილი უფრო ხანგრძლივ დროში, ვიდრე ცხრილშია მითითებული. ეს ნაშთები ცხრილში გათვალისწინებულია ერთ თვემდე ვადიან ოდენობებში.

2009 წელს ჯგუფის ხელმძღვანელმა რგოლმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან სარეზერვო დაფინანსების მექანიზმი მიიღო 95,731 ათასი ლარის ოდენობით. მისი გამოყენება შესაძლებელია ლიკვიდურობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ერთ თვემდე პერიოდში. ეს რესურსი არ არის ასახული ზემოთმოყვანილ ცხრილში.

ზემოთმოყვანილი ანალიზი ეფუძნება მოსალოდნელ ვადიანობებს და ამიტომ მთელი მთელი სავაჭრო ფასიანი ქაღალდების პორტფელი კლასიფიცირებულია მოთხოვნამდე და ერთ თვემდე ვადით ხელმძღვანელი რგოლის მიერ პორტფელის რეალიზაციის პოტენციალის შეფასების საფუძველზე.

მოსალოდნელი ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასობით ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	ჯამი
აქტივები						
ფული და მისი ექვივალენტი	321,047	11,801	-	-	-	332,848
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	35,733		1,516			37,249
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	104,956	95,489	243,947	385,139	158,897	988,428
სარეალიზაციოდ განკუთვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები					3,619	3,619
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11,480	68,536	35,480	-	-	115,496
ფინანსური იჯარის დებიტორული ვალდებულება	958	904	4,478	7,750	-	14,090
სხვა ფინანსური აქტივები	7,009	-	-	-	-	7,009
სულ ფინანსური აქტივები	481,183	176,730	285,421	392,889	162,516	1,498,739
ვალდებულებები						
სხვა ბანკების მიმართ	10,543	10,764	2,735	3,324	-	27,366
კლიენტების ანგარიშები	574,592	100,799	282,793	30,354	2,634	991,172
სხვა მოზიდული თანხები	9,549	2,501	56,313	91,892	63,146	223,401
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,603	122	-	-	-	5,725
დაქვემდებარებული სესხი	2,105	-	-	72,050	76,198	150,353
სულ ფინანსური ვალდებულებები	602,392	114,186	341,841	197,620	141,978	1,398,017
წმინდა ლიკვიდურობის გეპი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(121,209)	62,544	(56,420)	195,269	20,538	100,722

აქტივების და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა და ან კონტროლს ქვემოთ მოქცეული ცდომილება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ჯგუფის ხელმძღვანელი რგოლისთვის. ბანკებისთვის უზრუნველყოფა სრული დამთხვევა არსებობდეს, რადგან საქმიანობა ხშირად გაურვეველ პირობებში და განსხვავებული ტიპოლოგიით ხორციელდება. დაუდარებელი პოზიცია პოტენციურად ამლიერებს რენტაბელობას, მაგრამ შეიძლება ასევე ზარალის რისკი წარმოქმნას. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობა და მათი ჩანაცვლების შესაძლებლობა მისაღებ ფასად, პროცენტის ვალდებულებებით და ვადიანობით მნიშვნელოვანი ფაქტორებია ჯგუფის ლიკვიდურობის და მისი რისკისადმი განწყობილ შეფასებისას ცვალებადი საპროცენტო და გაცვლითი კურსის პირობებში.

ხელმძღვანელი რგოლი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტების ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი მოთხოვნამდეა, ამ ანაბრების დივერსიფიკაცია მუდმივად რაოდენობის დატიპოლოგიის მიხედვით, ასევე წარსულში ჯგუფის გამოცვილების მიხედვით იძლევა იმის რწმენის საშუალებას, რომ კლიენტების ეს ანგარიშები დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილურ წყაროს წარმოადგენს ჯგუფისთვის. უფრო მეტიც, ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვა მოიცავს ფაქტურად განსაზღვრული ვადიანობის ვარაუდს მისი მიმდინარე ანაბრებისთვის. ვარაუდი ეფუძნება სტატისტიკურ მეთოდს, რომელიც ისტორიულ ინფორმაციას იყენებს კლიენტების ანგარიშებზე ნაშთების ცვლილებებთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის მოთხოვნები იშვიათია გარანტიების და სარეზერვო აკრედიტაციების გასამყარებლად, რადგან ჯგუფი ზოგადად არ ელის მესამე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის ამოწურვამდე თანხა გაიტანოს. მთლიანი საკონტრაქტო ვალდებულების თანხა კრედიტის გასაცემად აპრობში არ გულისხმობს სამომავლო ფულადი მოთხოვნის წარმოქმნას, რადგან ბევრი მსგავსი მოთხოვნის ვადა ამოწურება დაფინანსებამდევე.

34 კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვის კუთხით შემდეგში მდგომარეობს: (ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნები კაპიტალთან დაკავშირებით და (ბ) დაცული იქნეს ჯგუფის გამართული ფუნქციონირების უნარი. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადექვატურობის და თანაფარდობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მონიტორინგი წარმოებს ყოველთვიურად. შესაბამისი გამოთვლებით ანგარიშები განიხილება და ხელი ეწერება ბანკის გენერალური დირექტორის და მთავარი ბუღალტერის მიერ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გარეწილი ამჟამინდელი კაპიტალის მოთხოვნების ფარგლებში ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ მარეგულირებელი კაპიტალის და რისკით შეწონილი აქტივების თანაფარდობა („სავალდებულო კაპიტალის თანაფარდობა“) განსაზღვრული მინიმალური ნორმის ზემოთ. მარეგულირებელი კაპიტალი ეფუძნება ბანკის ანგარიშებს, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ფორმატს ეფუძნება და მოიცავს შემდეგს:

<i>ათასობით ლარში</i>	2010	2009
სააქციო კაპიტალი	216,836	216,723
გაუნაწილებელი მოგება	108,940	65,836
ზოგადი სესხის ზარალის რეზერვი (1.25 % მდე რისკით შეწონილი აქტივები)	23,776	14,644
გამოკლებული არამატერიალური აქტივები	(3,375)	(3,728)
გამოკლებული ინვესტიციები დაქვემდებარებულ კომპანიებში და სხვა ბანკების კაპიტალში	(46,913)	(20,000)
დაქვემდებარებული სესხი	104,099	116,388
სულ მარეგულირებელი კაპიტალი	403,363	389,863

ჯგუფი და ბანკი ექვემდებარება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულების პირობებში. ეს გულისხმობს კაპიტალის ადექვატურობის დონეებს, რომლებიც გამოითვლება ბაზელის აკორდის მოთხოვნების შესაბამისად. ეს განსაზღვრულია კაპიტალის საზომის და სტანდარტების საერთაშორისო დათქმაში (განახლებული რედაქცია გამოქვეყნდა 1998 წლის აპრილში) და კაპიტალის აკორდის შესწორებებით, რომელიც მოიცავს ბაზრის რისკს (განახლებული რედაქციით გამოქვეყნდა 2005 წლის ნოემბერში). ამ იურიდიულ ინსტრუმენტებს კოლექტიურად ბაზელის პირველი პრინციპი ეწოდება. ჯგუფის კაპიტალის შემადგენლობა გამოთვლილია ბაზელის აკორდის შესაბამისად, რასაც ქვემოთ გაახლებთ:

<i>ათასობით ლარში:</i>	2009	2009
პირველი რიგის კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	216,836	216,723
გაუნაწილებელი მოგება	123,423	71,920
გამოკლებული პრესტიჟი	(1,262)	(1,957)
არასაკონტროლო ინტერესი	5,200	5,294
მეორე რიგის კაპიტალი	344,197	291,980
მეორე რიგის კაპიტალი		
გადაფასებული რეზერვები	31,816	32,806
დაქვემდებარებული სესხი	104,099	116,387
სულ მეორე რიგის კაპიტალი	135,915	149,193
სულ კაპიტალი	480,112	441,173

35 გაუთვალისწინებელი ვალდებულებები

იურიდიული პროცესები. დროდადრო საქმიანობის ჩვეულ რიტმში ჯგუფის წინააღმდეგ შეიძლება წარმოიქმნას მოთხოვნები. მისი სავარაუდო განსაზღვრის საფუძველზე, შიდა და გარე პროფესიული რეკომენდაციებზე დაყრდნობით არსებობს მოსაზრება, რომ არანაირი მატერიალური ზარალი შეიძლება წარმოიქმნას ამ მოთხოვნებიდან და ამიტომაც ამ მხრივ არანაირი რეზერვი კეთდება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. Georgian საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას. ცვლილებებიც ხშირად ხორციელდება კანონმდებლობებში. ამ კანონების ხელმძღვანელი რეგისტრული ინტერპრეტაცია ოპერაციების განხორციელებისა და ზოგადად ჯგუფის მიერ საქმიანობის განხორციელებისას გამოწვევის სახით არსებობს შესაბამის ორგანოებთან ურთიერთობის აღზატობა. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შეიძლება უფრო მყარად ამტკიცებდნენ კანონმდებლობის და სიტუაციის შეფასების მათი ინტერპრეტაციის სისწორეს. ფისკალური პერიოდები ღია რჩება და ხელისუფლებას გააჩნია საანგარიშო პერიოდის წინმსწრები წლებიც გადაამოწმოს. ამ რისკების საპასუხოდ ბანკმა გარეშე საგადასახადო სპეციალისტები მოიწვია ბანკის საგადასახადო პოლიტიკის და დეკლარაციების პერიოდული შემოწმების ჩასატარებლად. შესაბამისად, ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისი ინტერპრეტაცია მართებულია და რომ ბანკის საგადასახადო და საბაჟო პოზიციები მუდამ დაცული იქნება. ამ მიზეზით არ გაკეთებულა პოტენციური საგადასახადო ვალდებულებები რეზერვი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საოპერაციო იჯარის ნაკისრი ვალდებულებები. როდესაც ჯგუფი მეიჯარის სტატუსით სარგებლობს, სამომავლო მინიმალური იჯარის გადახდები გაუქმების უფლების გარეშე არსებული საოპერაციო იჯარის მუხლების მიხედვით ასეთია:

ათასობით ლარში	2010	2009
არაუგვიანეს 1 წლისა	-	12
1 წლიდან 5 წლამდე ვადაში	667	983
5 წელზე მეტ ვადაში	492	488
სულ საოპერაციო იჯარის ნაკისრი ვალდებულება	1,159	1,483

შესაბამისობა ფინანსურ დათქმებთან. ჯგუფი ექვემდებარება გაკრვეულ დათქმებს ფინანსური რესურსების მოზიდვამდე. ამ დათქმებთან შესაბამისობა შეიძლება უარყოფითი შედეგები იქონიოს ჯგუფისათვის, მისი ზრდის, სესხების ხარჯის და დეფოლტის გამოცხადების სახით. ჯგუფი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის შეესაბამებოდა ამ დათქმებს.

კრედიტებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებები. ამ ინსტრუმენტების უმეტავესი მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს რესურსების არსებობს კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში. გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები, რომლებიც წარმოადგენენ შეუცვლელ გარანტიას ჯგუფის მიერ გადახდის განხორციელებაზე თუ კლიენტი ვერ შესარულებს მესამე მხარისადმი მიცემულ დაპირებას იგივე საკრედიტო რისკის მქონე რაც სესხები. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივები, რომლებიც წერილობითი სახით ჯგუფის მიერ და კლიენტისთვის გაწერილი დაზღვევაა მესამე მხარეს აძლევს საშუალებას მითითებული თანხა აითვისოს კონკრეტული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ასეა მაგ. საქონლის გადაზიდვების დაგირავების შემთხვევაში, როდესაც ეს ინსტრუმენტი ფულადი ანაზრით უზრუნველყოფილ სესხს უფრო გავს ვიდრე უშუალო დაკრედიტებას.

კრედიტის გაცემაზე ვალდებულება აუთვისებელი თანხის ნაწილში – სესხის, გარანტიის ან აკრედიტივის სახით. კრედიტის გაცემის ვალდებულებებზე საკრედიტო რისკის მიმართებით ჯგუფი პოტენციურად ზარალის რისკის ქვეშ იმყოფება სრულკლი აუთვისებელი ვალდებულების ტოლწილად. თუმცა, ზარალის სავარაუდო ოდენობა მაინც ნაკლებია აუთვისებელ რესურსთან შედარებით, რადგან ვალდებულებების უმრავლესობა კლიენტის მიერ საკრედიტო სტანდარტების დაცვის შემთხვევითობით არის განპირობებული. ჯგუფი თვალს ადევნებს კრედიტებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების ვადიანობის პირობებს, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებები ზოგადად უფრო დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული საკრედიტო რისკის სახით, ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულება.

გაგაცნობთ კრედიტებთან დაკავშირებულ ნაკისრ ვალდებულებებს:

ათასობით ლარში	შენიშვნა	2010	2009
გაცემული გარანტია		145,877	90,203
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები		99,329	64,752
აკრედიტივები		18,377	632
გამოკლებული: კრედიტებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების რეზერვი	21	(5,781)	(3,746)
სულ კრედიტებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები		257,802	151,841

მთლიანი აუთვისებელი საკრედიტო ხაზის, აკრედიტივის და გარანტიის გაცემული საკონტრაქტო თანხა აპრიორში არ წარმოადგენს სამომავლო მოთხოვნას ფინანსურ რესურსზე, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს ვადა გასდის ან სრულდება დაფინანსების გარეშე. კრედიტებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 257,802 ათასი ლარი იყო (2009 წელს: 151,841 ათასი ლარი). კრედიტებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებები ქვემოთ წარმოდგენილი ვალუტების მიხედვით:

ათასობით ლარში	2010	2009
ლარი	62,907	61,316
აშშ დოლარი	158,436	73,972
ევრო	28,522	18,567
სხვა	13,718	1,732
სულ	263,583	155,587

36 დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გაფორმებული სავალუტო დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები ზოგადად იყიდება „დახლთან“ ბაზარში პროფესიულ კონტრაგენტებთან ურთიერთობისას. პირობები სტანდარტული, საკონტრაქტოა. დერივატივებს პოტენციურად სასარგებლო (აქტივები) და უსარგებლო (ვალდებულებები) პირობები გააჩნია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ან სხვა კომპონენტების და პირობების ცვლადობის გამო. დერივატიული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ნაერთი სამართლიანი ღირებულება შეიძლება დროდადრო მნიშვნელოვნად იცვლებოდეს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სამართლიან ღირებულებას საანგარიშო პერიოდში, მისაღებ და გასაცემ ვალუტაში, ჯგუფის მიერ დადებული ფორვარდული ინსტრუმენტებით. ცხრილი ასახავს მთლიან პოზიციას სანამ ნებისმიერ კონტრაგენტის პოზიციასთან ჩათვლა განხორციელდება (გადახდით) და საანგარიშო პერიოდის შემდეგ მოიცავს კონტრაქტებს ანგარიშსწორების ვადებით. კონტრაქტები არსებითად მოკლევადიანია.

ათასობით ლარში	2010		2009	
	კონტრაქტები პოზიტიური სამართლიანი ღირებულებით	კონტრაქტები ნეგატიური სამართლიანი ღირებულებით	კონტრაქტები პოზიტიური სამართლიანი ღირებულებით	კონტრაქტები ნეგატიური სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ფორვარდული გარიგებები: სამართლიანი ღირებულება, საანგარიშო პერიოდში				
- აშშ დოლარი, გადახდა გასწორებისას (-)	-	(664)	-	-
- აშშ დოლარი, მიღება გასწორებისას (+)	-	-	12,099	-
- ლარი, გადახდა გასწორებისას (-)	-	-	-	(12,039)
- ლარი, მიღება გასწორებისას (+)	364	-	-	-
ფორვარდული სავალუტო გარიგების სამართლიანი ღირებულება	364	(664)	12,099	(12,039)
სავალუტო ფორვარდული გარიგების წმინდა სამართლიანი ღირებულება	-	(300)	60	-

37 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

(ა) ამორტიზებული ხარჯით გატარებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

გაახლებთ ამორტიზებული ხარჯით გატარებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას:

ათასობით ლარში	2010		2009	
	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები				

	2010		2009	
	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<i>ათასობით ლარში</i>				
ფული და მისი ექვივალენტი	275,425	275,425	332,848	332,848
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	74,736	74,736	37,249	37,249
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები:				
- კორპორატიული სესხები	588,910	634,913	427,185	457,264
- სამომხმარებლო სესხები	243,267	265,077	168,849	183,451
- იპოთეკური სესხები	230,286	241,679	154,584	166,512
- მცირე და მიკრო სესხები	189,569	199,757	135,833	147,390
- სხვა	39,529	39,529	33,811	33,811
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29,224	28,986	115,496	115,496
ინვესტიციები იჯარაში	9,681	9,681	14,090	14,090
სხვა ფინანსური აქტივები	4,239	4,239	6,927	6,927
სულ ამორტიზებული ხარჯით გატარებული ფინანსური აქტივები	1,684,866	1,774,022	1,426,872	1,495,038
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ბანკების მიმართ	47,768	47,768	27,366	27,366
კლიენტების ანგარიშები	1,365,352	1,365,352	991,172	991,172
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,932	3,932	5,725	5,725
სხვა მოზიდული სახსრები	280,906	280,906	223,401	223,401
დაქვემდებარებული სესხი	158,410	158,410	150,353	150,353
სულ ამორტიზებული ხარჯით გატარებული ფინანსური ვალდებულებები	1,856,368	1,856,368	1,398,017	1,398,017

(b) სამართლიანი ღირებულებით გატარებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის ანალიზი

სავაჭრო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება გათვალისწინებული სხვა ფინანსურ აქტივებში და მიიჩნევა როგორც საბაზრო ფასით კოტირებული (პირველი დონე). სავალუტო ფორვარდული ოპერაციების სამართლიანი ღირებულება ხელმძღვანელი რგოლის მიერ განისაზღვრა შეფასების ტექნიკის გამოყენებით და ბაზრის დაკვირვების საფუძველზე (მეორე დონე).

(c) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული მეთოდები და ვარაუდი

სამართლიანი ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტი მოცულობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს მიმდინარე ოპერაციით მოსურნე მხარეებს შორის, იძულებით მიყიდვის შემთხვევების და ლიკვიდაციის გარემოების გარდა. ეს ხდება საქტიური კოტირებული საბაზრო ფასის საუკეთესო დადასტურებით. იმ შემთხვევებში, როდესაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არსებობს, ჯგუფი იყენებს შეფასების ტექნიკას. გარკვეული შეფასების ტექნიკა საჭიროებს ვარაუდს, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ბაზარზე დაკვირვებით არ იყო გამყარებული. ნებისმიერი ასეთი გამოყენებული ვარაუდის შეცვლა გონივრულად დაშვებული ალტერნატივით არ გამოიწვევს მნიშვნელოვანად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

თავისუფალი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რაც აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული უტოლდება საბალანსო ღირებულებას. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა სამომავლო ფინანსური ნაკადების პროგნოზის საფუძველზე, რაც იმავე საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მოსალოდნელია დისკონტირებული იქნეს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების დონეზე.

თბილისი ბანკის ჯგუფი
შენიშვნები ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
37 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძ.)

გამოყენებული დისკონტირებული განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტების ვადიანობაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაახლებთ დეტალებს:

	2010	2009
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	2%	2%
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
კორპორატიული სესხები	21%	21%
სამომხმარებლო სესხები	26%	28%
იპოთეკური სესხები	21%	21%
მცირე და მიკრო სესხები	20%	24%
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14%	4%
სხვა ბანკების მიმართ		
- საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსება სხვა ბანკებში	2%	2%
- ბანკების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ვადიანი ანაზრები	8%	6%
კლიენტების ანგარიშები		
იურიდიული პირების მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	2%	2%
იურიდიული პირების ვადიანი ანაზრები	11%	11%
ფიზიკური პირების მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	3%	4%
ფიზიკური პირების ვადიანი ანაზრები	11%	11%
სხვა მოზიდული სახსრები		
- სესხები ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან – აშშ დოლარი	5%	5%
- სესხები ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან – ლარი	6%	6%
დაქვემდებარებული სესხი	10%	10%

38 ფინანსური ინსტრუმენტების კლასების გაერთიანება საზომ კატეგორიებთან

შეფასების მიზნით, საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის 39–2 სტანდარტი, ფინანსური ინსტრუმენტები: საზომის აღიარება – ახდენს ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული ვალდებულებები, (ბ) სარეალიზაციოდ განსაზღვრული ფინანსური აქტივები, (გ) ვადიანობამდე ფლობილი ფინანსური აქტივები, (დ) სამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის ნაწილში ("FVTPL"). სამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის ნაწილში ორი ქვეკატეგორიის მქონეა: (ა) ასეთად მიჩნეული აქტივები საწყისი აღიარებისას, (ბ) სავაჭროდ განსაზღვრულად კლასიფიცირებული. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების გაერთიანებული კლასები ამ საზომი კატეგორიების მიხედვით და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული ვალდებულებები	სარეალიზაციოდ გამიზნული აქტივები	სავაჭრო აქტივები	ვადიანობამდე ფლობილი	ჯამი
<i>ათასობით ლარში</i>					
აქტივები					
ფული და მისი ექვივალენტი	-	-	-	-	275,425
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	74,736	-	-	-	74,736
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები:					
კორპორატიული სესხები	634,913	-	-	-	634,913
სამომხმარებლო სესხები	265,077	-	-	-	265,077
იპოთეკური სესხები	241,679	-	-	-	241,679
მცირე და მიკრო სესხები	199,757	-	-	-	199,757
სხვა	39,529	-	-	-	39,529
სარეალიზაციოდ განსაზღვრული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	216,323	-	-	216,323
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	28,986	28,986
ინვესტიციები იჯარაში	9,681	-	-	-	9,681
სხვა ფინანსური აქტივები:					
- სხვა ფინანსური დებიტორული ვალდებულებები	4,239	-	-	-	4,239
სულ ფინანსური აქტივები	1,469,611	216,323	-	28,986	1,990,345
არაფინანსური აქტივები					277,436
სულ აქტივები					2,267,781

38. ფინანსური ინსტრუმენტების კლასების გაერთიანება საზომ კატეგორიებთან (გაგრძ.)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების გაერთიანებული კლასები ამ საზომი კატეგორიების მიხედვით და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული ვალდებულებები	სარეალიზაციოდ გამიზნული აქტივები	სავაჭრო აქტივები	ვადიანობამდე ფლობილი	ჯამი
<i>ათასობით ლარში</i>					
აქტივები					
ფული და მისი ექვივალენტი	-	-	-	-	332,848

ითარგმნა ხატია ჭანიშვილის მიერ.

თბილისი ზანკის ჯგუფი

შენიშვნები ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	სესხები და დებიტორული ვალდებულებებ ო	სარეალიზაციო და გამიზნული აქტივები	სავაჭრო აქტივები	ვადიანობამდ ე ფლობილი	ჯამი
<i>ათასობით ლარში</i>					
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	37,249	-	-	-	37,249
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები:					
კორპორატიული სესხები	457,264	-	-	-	457,264
სამომხმარებლო სესხები	183,452	-	-	-	183,452
იპოთეკური სესხები	166,512	-	-	-	166,512
მცირე და მიკრო სესხები	147,389	-	-	-	147,389
სხვა	33,811	-	-	-	33,811
სარეალიზაციოდ განსაზღვრული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	3,619	-	-	3,619
ვადიანობამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	115,496	115,496
ინვესტიციები იჯარაში	14,090	-	-	-	14,090
სხვა ფინანსური აქტივები:					
- სხვა ფინანსური დებიტორული ვალდებულებები	6,927	-	-	-	6,927
კორპორატიული აქციები	-	-	82	-	82
სულ ფინანსური აქტივები	1,046,694	3,619	82	115,496	1,498,739
არაფინანსური აქტივები					239,281
სულ აქტივები					1,738,020

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დერივატივების გარდა ამორტიზებული ხარჯით ტარდებოდა. დერივატივები მიეკუთვნებიან სამართლიან ღირებულებას მოგების ან ზარალის საზომი კატეგორიით.

39 დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები

მხარეები ზოგადად მიიჩნევა დაკავშირებულად თუ საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან ერთ პირს აქვს შესაძლებლობა ორივე გააკონტროლოს, იქონიოს მათზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების გზით. ყოველი დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება მიმართულია მათი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ მხარეზე. სხვა დაკავშირებული მხარეები შეიძლება იყვნენ პირები სადაც აქციენერებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები ასეთია:

	მნიშვნელოვანი აქციონერები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	სხვა დაკავშირებულ მხარეები
<i>ათასობით ლარში</i>			
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების მთლიანი ოდენობა (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 13 - 26 %)	15,528	1,135	4,303
გაუფასურების რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე	(1,114)	(83)	(554)
სხვა მოზიდული სახსრები	96,176	-	-
კლიენტების ანგარიშები (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 0 - 13 %)	4,853	3,990	226
დაქვემდებარებული სესხი (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 5 - 11.3 %)	73,101	-	-

2010 წლისთვის დაკავშირებულ მხარეთა შემოსავლები და ხარჯები ასე გამოიყურებოდა:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დამკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავლები	548	127	201
საპროცენტო ხარჯები	468	247	9
სესხის გაუფასურების რეზერვი	2,397	44	40
სარგებელს გამოკლებული ვალუტით ვაჭრობით მიღებული ზარალი	49	4	138
საკომისიო შემოსავლები	3	-	315
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1,995	3,565	-

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ასეთი იყო:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დამკავშირებული მხარეები
წლის ბოლოს ჯგუფის მიერ გაცემული გარანტიები	-	-	2,257

2010 წლის განმავლობაში გაცემული და დაფარული სესხების ნაერთი მოცულობა ასეთი იყო:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დამკავშირებული მხარეები
დაკავშირებული მხარეებისადმი წლის განმავლობაში ავანსად გაცემული თანხები (დარიცხული პროცენტის ჩათვლით)	13,857	956	11,893
დაკავშირებული მხარეების მიერ წლის განმავლობაში გადახდილი თანხები	(12,134)	(1,315)	(7,720)

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები ასეთია:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დამკავშირებული მხარეები
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების მთლიანი ოდენობა (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 13 - 26 %)	35,715	1,502	5,767
გაუფასურების რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე	(20,931)	(41)	(157)
სხვა მოზიდული სახსრები	66,678	-	-
კლიენტების ანგარიშები (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 0 - 13 %)	5,671	2,799	262
დაქვემდებარებული სესხი (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 5 - 11.3 %)	69,375	-	-

2009 წლისთვის დაკავშირებულ მხარეთა შემოსავლები და ხარჯები ასე გამოიყურებოდა:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავლები	3,695	202	112
საპროცენტო ხარჯები	15,089	220	8
სესხის გაუფასურების რეზერვი	17,537	11	43
სარგებელს გამოკლებული ვალუტით ვაჭრობით მიღებული ზარალი	(18)	6	301
საკომისიო შემოსავლები	7	5	40
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1,773	4,665	-
საქველმოქმედო შენატანები	-	-	3,502

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ასეთი იყო:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
წლის ბოლოს ჯგუფის მიერ გაცემული გარანტიები	-	-	198
სხვა ვალდებულებები	89	95	-

2009 წლის განმავლობაში გაცემული და დაფარული სესხების ნაერთი მოცულობა ასეთი იყო:

ათასობით ლარში	მნიშვნელოვანი აქციონრები	მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
დაკავშირებული მხარეებისადმი წლის განმავლობაში ავანსად გაცემული თანხები (დარიცხული პროცენტის ჩათვლით)	4,530	197	5,727
დაკავშირებული მხარეების მიერ წლის განმავლობაში გადახდილი თანხები	(2,344)	(391)	-

2009 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩამოიწერა 20,772 ათასი ლარი მნიშვნელოვანი აქციონრებისადმი გაცემული სესხების და ავანსების სახით.

საკვანძო ხელმძღვანელი რგოლის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ:

ათასობით ლარში	2010		2009	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
ხელფასები	5,561	4,935	4,330	1,880
კაპიტალის გასწორებით და აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია	-	--	275	--
სულ	5,561	4,935	4,605	1,880